უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგები

(აღწერითი ანგარიში ბოლონიის პროცესის ინდიკატორების მიხედვით)

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

ნოემბერი, 2008

შინაარსი

კვლევის მიზანი, მასშტაბი და ანგარიშის სტრუქტურა 4

კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია..... 4

საკვლევი საკითხები და კომენტარები მონაცემებთან დაკავშირებით 6

I. მონაცემები ეროვნული ანგარიშისათვის: 7

ზოგადი ინფორმაცია საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების შესახებ . 7

აკადემიური პერსონალი და მკვლევარები 7

ბაკალავრიატის, მაგისტრტურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა 8

პირველი და მეორე საფეხურის განხორციელება 9

დოქტორანტურა 10

მაგისტრატურა 14

კავშირი უმაღლეს განათლებასა და კვლევას შორის 17

საფეხურების ხელმისაწვდომობა 22

კურსდამთავრებულთა დასაქმება და დამსაქმებელთან ურთიერთობა 22

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 25

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა..... 30

სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის გარე უზრუნველყოფაში..... 31

საერთაშირისო მონაწილეობა ხარისხის გარე უზრუნველყოფაში..... 31

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო 31

ხარისხების ცნობა/აღიარება და სასწავლო პერიოდი 32

დიპლომის დანართის როლი კვალიფიკაციების აღიარების პროცესში..... 32

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის განხორციელება 32

სწავლების მოქნილი (ალტერნატიული) გზები 33

ერთობლივი ხარისხები და პროგრამები..... 33

მობილობა 35

გრანტებისა და სესხების მობილობა 41

ბოლონიის პროცესის სოციალური განზომილება 42

II. ბოლონიის პროცესის პრინციპების განხორციელების პერსპექტივები საქართველოში 44

III. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები 46

დანართები 49

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე უმაღესი სასწავლებლების სია 49

ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეთა სია 50

კითხვარი უმაღლესი სასწავლებლებისათვის 51

კვლევის მიზანი, მასშტაბი და ანგარიშის სტრუქტურა

პროექტი განხორციელდა 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით.კვლევის მიზანი იყო ბოლონიის პროცესის წარმატების შეფასების ეროვნული ანგარიშის ფორმაში არსებული ინდიკატორების შესაბამისად (Bologna Process Template for National Reports, 2008; Stocktaking Report) ინსტიტუციურ დონეზე უმაღლესი განათლების რეფორმის აღწერა და უმაღლესი განათლების სფეროში ამ ეტაპზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. შესაბამისად, კვლევის ანგარიშის პირველ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია სტურქტურულად აგებულია ეროვნული ანგარიშის კითხვარის შაბლონის მიხედვით. კვლევის ანგარიშის მეორე თავი უფრო ზოგადად მიმოიხილავს საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში ბოლონიის პროცესის განხორციელების პრობლემებსა და პერსპექტივებს.ძირითადი დასკვნები მოცემულია კვლევის ანგარიშის მესამე თავში.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოში აკრედიტირებული ყველა უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას - ეროვნული ანგარიშის სპეციფიკიდან გამომდინარე (გარკვეული ინდიკატორები მოითხოვდა ყველა უმაღლესი სასწავლებლის ჯამური მაჩვენებლების გამოთვლას) აუცილებელი იყო ყველა უმაღლესი სასწავლებლის ჩართვა კვლევაში. კვლევაში აგრეთვე გათვალისწინებულია სფეროს ექსპერტების, უმაღლესი სასწავლებლების რექტორების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოსაზრებები.

კვლევის სტრატეგია და მეთოდოლოგია

კვლევის სტრატეგიისა და ანგარიშის საბოლოო ფორმატის განსაზღვრისას გათვალისიწინებული იყო ა) ტექნიკურ დავალებაში ფორმულირებული მიზნის სპეციფიკა (აქცენტი გაკეთდა საქართველოში უმაღლესი განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის აღწერაზე ეროვნული ანგარიშის ინდიკატორების მიხედვით) და ბ) პროექტის განხორციელების ვადების შეზღუდულობა.ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოყენებული იყო როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

ძირითად ამოცანას წარმოადგენდა Stocktaking Report-თვის ინფორმაციის შეგროვება ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან (Stocktaking Report-ის ძირითადი საკვლევი საკითხების მიხედვით) სპეციალური ადაპტირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც დაურიგდა უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. კითხვარის გარკვეული კითხვები მოიაზრებდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა მონაცემთა ბაზებთან მუშაობას - ერთი კითხვარის შევსება გულისხმობდა მინიმუმ ერთკვირიან მუშაობას, ამიტომ ინსტიტუტს ჰყავდა საკონტაქტო პირები (რესპონდენტები) თითოეულ სამიზნე უმაღლეს სასწავლებელში, რომლებთანაც მუშაობდა კონტრაქტის საფუძველზე.

პროექტი, აგრეთვე, გულისხმობდა <u>მეორად კვლევას desk study</u> (უკვე განხორციელებული კვლევითი პროექტების ანგარიშების, გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრისა და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ანგარიშების ანალიზი), აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის, ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სხვა ინსტიტუტების მონაცემთა ბაზებისა და <u>უმაღლესი სასწავლებლების ვებ გვერდების შინაარსობრივ ანალიზსს.</u>

ანგარიშისათვის დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები: <u>ჩაღრმავებული ინტერვიუები სფეროს ექსპერტებთან</u> და <u>ფოკუს ჯგუფები უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.</u>

1. <u>უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების გამოკითხვა - მონაცემების შეგროვება ეროვნული ანგარიშის ძირითადი ინდიკატორების მიხედვით</u>

ინფორმაციის შეგროვება მოხდა სპეციალური, ადაპტირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც შემუშავდა ეროვნული ანგარიშის კითხვარზე დაყრდნობით. კითხვარები მოიცავდა 52 ღია და დახურულ კითხვას.

კითხვარების ანალიზის შედეგად შეიქმნა სამიზნე უმაღლესი სასწავლებლების პროფილები ეროვნული ანგარიშის ძირითადი ინდიკატორების მიხედვით, კითხვარებში წარმოდგენილი მონაცმები დამუშავდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით, მოხდა გარკვეული მონაცემების აგრეგირება, ფარდობების გამოთვლა გარკვეული ინდიკატორების მიხედვით უმაღლესი სასწავლებლების ერთმანეთთან შესადარებლად. რიგ შემთხვევებში მონაცემები წარმოდგენილი იქნა ჭრილებში ლოკაციისა და ტიპის (კერძო/სახელმწიფო) მიხედვით.

უნივერსიტეტების პროფილისათვის დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად ან უმაღესი სასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადასამოწმებლად, აგრეთვე, მოხდა უნივერსიტეტების ვებ-გვერდების <u>შინაარსობრივი ანალიზი.</u>

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 52-მა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა. (საქართველოში დღეისათვის 54 აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებელია, საიდანაც 2-ს ჯერ არ ჰქონია სტუდენტთა მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე).

2. <u>ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან</u>

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 11 ინტერვიუ ექსპერტებთან. ინტერვიუს გაიდი შემუშავდა ეროვნული ანგარიშის სპეციფიკის გათვალისწინებით. შერჩევაში წარმოდგენილნი იყვნენ რეფორმის პროცესში ჩართული სააგენტოების ხელმძღვანელები, დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები და უმაღესი სასწავლებლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

იხ. დანართი #1 ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტთა სიისათვის.

3. <u>ფოკუს ჯგუფები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.</u>

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობას მიიღო 12 პროფესორ-მასწავლებელმა და 10 სტუდენტმა. მონაწილეთა შერჩევაში წარმოდგენილი იყო ქალაქისა და რეგიონის, ახლადდაფუძნებული და ძველი, დიდა და პატარა, კერძო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. აგრეთვე, ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს სპეციფიური პროფილის (მედიცინა, ხელოვნება) მქონე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა. მონაწილე უმაღესი სასწავლებლების სიისათვის იხ. დანართი #2

საკვლევი საკითხები და კომენტარები მონაცემებთან დაკავშირებით

პროექტის ძირითადი საკვლევი საკითხები იყო: უმაღლესი განათლების საფეხურები და მათი ხელმისაწვდომობა, კავშირი უმაღლეს განათლებასა და კვლევას შორის, კურსდამთავრებულთა დასაქმება და დამსაქმებელთან ურთიერთობა, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემები, უმაღესი სასწავლებლის მართვაში სტუდენტების მონაწილეობა, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვებოს ევროპული სისტემა, სწავლის მოქნილი გზები, სტუდენტთა მობილობა, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა და პარტნიორობა, ბოლონიის პროცესის მიმდინარეობის ზოგადი მიმოხილვა, სოციალური განზომილება, პრობლემები და პერსპექტივები.

ეს ასპექტები (ეროვნული ანგარიშის 108 კითხვა) გარკვეული ფორმით ინტეგრირებული იყო კვლევის ყველა ინსტრუმენტში (უმაღლესი სასწავლებლების კითხვარში, ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელოებში).

სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, ვერ მოხერხდა ინსტრუმენტის პილოტირება, რამაც რიგ შემთხვევაში შექმნა კითხვათა შინაარსის დაზუსტების აუცილებლობა. კვლევით ჯგუფს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა რესპონდენტებთან ტელეფონის მეშვეობით და კონსულტაციას უწევდა მათ კითხვარის შევსების პროცესში. რიგ შემთხვევაში, კვლევითი ჯგუფის ინიციატივით, მონაცემები გადამოწმდა სატელეფონო ზარებით.

I. მონაცემები ეროვნული ანგარიშისათვის:

ზოგადი ინფორმაცია საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების შესახებ

საქართველოში მოქმედებს 52 აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უსდ), რომელთაგან 20 საჯარო სამართლის იურიდიული პირია, ხოლო 32-კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონეა[1]. საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების 70% მდებარეობს თბილისში. სქემა #1 აჩვენებს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების განაწილებას ადგილმდებარეობის მიხედვით. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების თანაბარი რაოდენობაა განაწილებული თბილისსა და რეგიონში, კერძო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა ჭარბობს დედაქალაქში.

სქემა#1



აკადემიური პერსონალი და მკვლევარები

საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობს 6500-მდე პროფესორი და მკვლევარი, მკვლევარების წილი ამ რაოდენობაში არის 12%. მკვლევარების რაოდენობა მიუთითა 52-დან მხოლოდ 24-მა უსდ-მ.

[1] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის (www.statistics.ge) მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში 137 ლიცენზირებული უსდ მოქმედებს. ჩვენს კვლევაში მხოლოდ ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უსდ-ები იქნა ჩართული.

ცხრილი #1 აკადემიური პერსონალი და მკვლევარები

სტატუსი	არის (უსდ)	არ არის (უსდ)	საშ.	მედიანა	სტ.გად.	მინ	მაქს	სულ	% მთლ.რ-დან
სრული	52	0	30.1	18	44.9	2	297	1566	25
ასოცირებული	52	0	50.3	23	83.6	1	468	2618	41
ასისტენტ-პროფესორი	46	6	27.7	10.5	46.2	0	224	1442	23
მკვლევარი	24	28	14.7	0	56	0	399	765	12
ჯამი			123	55.5	196.3	8	1099	6391	

ბაკალავრიატის, მაგისტრტურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა

საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში სამივე საფეხურზე და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე სწავლობს 83757 სტუდენტი[2], მათ შორის 73% პირველ საფეხურზე. სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 50% სწავლობს 4 უმაღლეს სასწავლებელში (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (20%), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (13%), ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი (10%), ა.წერეთლის სახ. უნივერსიტეტი (7%)).

კერძო უნივერსიტეტებიდან სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში (შესაბამისად სტუდენტთა საერთო მასის 1,8%) და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში (სტუდენტთა საერთო მასის 1,3%). სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საშუალო ფარდობაა 12, მინიმალური -2, ხოლო ერთ უსდ-ში (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი) ფარდობა შეადგენს 68-ს.

ცხრილი #2 სტუდენტების რაოდენობა სწავლების საფეხურების მიხედვით

	საშუალო	მედიანა	სტ.გადახრა	მაქსიმუმი	ჯამი	% მთიანი რაოდენობიდან
BA	1177.3	350	2391.5	14090	61222	73
უმაღლესი პროფესიული	86.3	0	265.8	1802	4403	5
ერთსაფეხურიანი სამედიცინო	162.3	0	536.5	3743	8275	10
MA	161.8	61.5	311.9	1525	8413	10
PHD	28.3	0	82.5	496	1444	2
სულ	1610.7	486.5	3010.1	16882	83757	

[2] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყანაში სტუდენტთა საერთო რაოდენობა 2007 წელს იყო 112,1 ათასი, აქედან 81 ათასი სახელმწიფო, ხოლო 30 ათასი - კერძო უსდ-ების სტუდენტი: სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები მოიცავს აკააკრედიტირებული უსდ-ების სტუდენტებსაც.

პირველი და მეორე საფეხურის განხორციელება

უმაღესი სასწავლებლები სწავლების საფეხურების მიხედვით

”უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის (მუხლი 87/7) თანახმად, ”უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ამ კანონით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებით (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დიპლომირებული სპეციალისტი, დოქტორანტურა) სწავლებაზე სრული გადასვლა და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება უნდა უზრუნველყონ არა უგვიანეს 2007-2008 სასწავლო წლის დასაწყისისა”. შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ინსტიტუციურად აკრედიტირებული ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სრულად არის გადასული უმაღლესი განათლების სამსაფეხურიან სისტემაზე. გამონაკლისს წარმოადგენს სამედიცინო განათლება, რომელიც ერთსაფეხურიანი ფორმატით ხორციელდება.

საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში (60%) წარმოდგენილია სამივე საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტრურა)- სქემა #2. უმაღლესი სასწავლებლების 12%-ში მოქმედებს მხოლოდ პირველი საფეხური; მაგისტრატურა მოქმედებს უმაღესი საასწავლებლების 84%-ში; ხოლო დოქტორანტურა - 60%-ში.

სქემა#2 უმაღესი სასწავლებლები სწავლების საფეხურების მიხედვით



მილევად რეჟიმში ”ძველი” ერთსაფეხურიანი პროგრამები ხორციელდება 14 უსდ-ში (27%) და მათი დასრულება ნავარაუდევია 2010 წელს.

უმაღლესი განათლების ორსაფეხურიან სისტემაზე (4 + 2) ფორმატით გადასვლა ქართულ უნივერსიტეტებში ჯერ კიდევ 1994 წელს დაიწყო. ამჟამად კანონი ”უმაღლესი განათლების შესახებ” არეგულირებს საგანმანათლებლო საფეხურების მოცულობას - ბაკალავრიატი - 240 კრედიტი (ECTS), მაგისტრატურა - 120 კრედიტი.

დოქტორანტურა

დოქტორანტურამ საქართველოში ასპირანტურა "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიღების შემდეგ ჩაანაცვლა. 2005 წლიდან ასპირანტის სტატუსის მქონე პირებმა ძირითადად ავტომატურად მიიღეს დოქტორანტების სტატუსი.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის (მუხლი 49/1) თანახმად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, აგრეთვე რეზიდენტს. მიღების სხვა პირობების დადგენა უნივერსიტეტებს ავტონომიურად შეუძლიათ.

დოქტორანტურის მოქმედების პრინციპებთან დაკავშირებით, საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო სემინარი ჩატარდა უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით (2005 და 2007 წლებში), რომელთა მიზანი იყო უნივერსიტეტებისათვის დოქტორანტურის შემოღების გაადვილება. ამ საფეხურის დანერგვასთან დაკავშირებით, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურ დონეზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ძვრები - გამრავალფეროვანდა დოქტორანტურის შემადგენელი კომპონენტები, განხორციელდა სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების ჩამოყალიბების პირველი მცდელობები, უსდ-ების უმეტესობაში წარმოებს დოქტორანტის დატვირთვის გათვლა კრედიტების მიხედვით - ეს საფეხური საქართველოში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

დოქტორანტურის საფეხური მოქმედებს 31 უსდ-ში. თუმცა, მათგან დოქტორანტურაში სტუდენტები ჯერ არ მიუღია 7 უმაღლეს სასწავლებელს. ამ თავში მოცემული მონაცემები (პროცენტები) დათვლილია იმ უმაღლესი სასწავლებლების საერთო რაოდენობიდან, რომლებსაც აქვთ მესამე საფეხური.

დოქტორანტურაში მიღება

უმაღლესი სასწავლებლების ნახევარში დოქტორანტურაში მიღება წარმოებს წელიწადში ერთხელ, დაახლოებით მეოთხედში - წელიწადში ორჯერ, ხოლო დარჩენილ მეოთხედში კი დოქტორანტურაში მიღების პერიოდულობა არ არის მკაცრად განსაზღვრული.

დოქტორანტურაში მიღებისას ყველაზე გავრცელებული მოთხოვნაა დარგობრივი კომპეტენციები და უცხო ენის ცოდნა (სქემა #11) თუმცა ეს გამოცდებიც ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან კონკურსის ანალიზიდან ჩანს, რომ კონკურსი მიმართულებების უმეტესობაში დაბალია (ცხრილი #3).

მიმართულებების პრიორიტეტულობის მიხედვით, დოქტორანტურაში იგივე სურათია, რაც მაგისტრატურაში - ყველაზე მაღალი კონკურსია ბიზნესისა და სამართლის მიმართულებით.

სქემა #11



სადოქტორო პროგრამების სტუდენტები

დოქტორანტები სტუდენტთა საერთო მასის 2% შეადგენენ. ყველა დოქტორანტი გადის სადოქტორო პროგრამას და ირიცხება უსდ-ში, ანუ საქართველოში აღარ არსებობს ე.წ. მაძიებლობის ინსტიტუტი.

2007-2008 წელს დოქტორანტურაში ჩააბარა 940 სტუდენტმა[3], რაც საქართველოში დოქტორანტების მთლიანი რაოდენობის 65%-ს შეადგენს. ამ ნაკადის დაახლოებით 26% არის ჰუმანიტარული მიმართულებით. კონკურსის საშუალო მაჩვენებელია 1.1, კონკურსის საშუალო მაჩვენებელი უახლოვდება 2-ს ბიზნესის, სამართალმცოდნეობისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით (ცხრილი #3). თუმცა მონაცემები გაფანტულია უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით.

ცხრილი #3 დოქტორანტების განაწილება, კონკურსი და დოქტორანტურის ფასი დარგების მიხედვით

		სტუდენტები		კონკურსი			ფასი		
დარგი	უსდ	ჯამი	%	მინ	მაქს	მედიანა	მინ	მაქს	მედიანა
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	7	241	26	1	1.7	1.0	1500	3300	2000
სოციალური მეცნიერებანი	4	143	15	1	1.4	1.3	1500	2800	2000
ბიზნესი	12	141	15	1	5	1.7	1500	5000	2800
ინჟინერია, მშენებლობა და მრეწველობა	3	130	14	1	1.1	1.0	1250	2000	1625
სამართალ-მცოდნეობა	6	82	9	1	3	1.7	1500	5000	3000
საბუნების-მეტყველო მეცნიერებები	6	73	8	1	1.3	1.1	1000	2000	2000
მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები	6	54	6	1	1.7	1.2	1500	2800	2000
განათლება	2	31	3	1	1.4	1.2	2000	2000	2000
სოფლის მეურნეობა და ვეტერინარია	3	23	2	1	2	1.6	2000	2000	2000
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3	14	1	1	1	1.0	1335	3500	2000
ხელოვნება	1	8	1	1	1	1.0	960	960	960
		940		1	5	1.1	960	5000	2000

სრული სადოქტორო პროგრამების ხანგრძლივობა

”უმაღლესი განათლების შესახებ” კანონის (მუხლი 46/1) თანახმად, დოქტორანტურა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 180 კრედიტისა. რადგანაც აკადემიური წლის განმავლობაში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 60 კრედიტს, სადოქტორო პროგრამის საშუალო ხანგრძლივობა მოიცავს 3 წელს. თუმცა, საქართველოში კანონმდებლობა პროგრამების მოცულობაზე და არა ფაქტობრივ ხანგრძლივობაზე აკეთებს აქცენტს.

[3] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, დოქტორანტების რიცხოვნობა 2007 წელს შეადგენდა 786 პირს, ხოლო მიღება - 289-ს. იგივე წყაროს მიხედვით, 2007 წელს დოქტორანტების გამოშვება შეადგენდა 101 ადამიანს, მათგან მხოლოდ 11-ს მიენიჭა დოქტორის ხარისხი (ხარისხი სულ 44 კაცს მიენიჭა).

დოქტორანტურის მაქსიმალური ხანგრძივობა მერყეობს 3-დან 10 წლამდე (არ არის განსაზღვრული მხოლოდ ორ უსდ-ში). ყველაზე გავრცელებული ხანგრძივობაა 3 წელი (18 უსდ- 60%). სიხშირით მეორე ადგილზეა ხუთწლიანი დოქტორანტურა (6 უსდ - 20%).

სადოქტორო პროგრამების შემადგენელი კომპონენტები

დოქტორანტურის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტი ყველა უსდ-ში არის დამოუკიდებელი კვლევა. ყველა უსდ-ში, ასევე, დოქტორანტურის შემადგენელი კომპონენტია დარგობრივი სასწავლო კურსებიც. თუმცა, ეს კომპონენტი არ არის სავალდებულო უსდ-ების დაახლოებით 10%-ში. აგრეთვე, ფართოდ გავრცელებული კომპონენტია სხვადასხვა სახის პედაგოგიური საქმიანობა (85%) და ზოგადი უნარების განმავითარებელი კურსები (75%). ეს ორი კომპონენტიც თითქმის ყველგან სავალდებულოა (ყოველი ათიდან 8-9 შემთხვევაში).

სქემა#3 ამ სქემის მიხედვით როგორ გამოდის? რომ უსდ-ების 100% აქვს დამოუკიდებელი კვლევა, როგორც დოქტორანტურის კომპონენი და პედაგოგიური საქმიანობა აქვს 85%-ს? სათაური რომ უფრო სრული იყოს?



სადოქტორო პროგრამების ხარისხის კონტროლისა და შეფასების პროცედურები

დოქტორანტურის ხარისხის კონტროლისა და შეფასების მექანიზმები, უსდ-ების მონაცემებით, მოქმედებს უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში (დაახლოებით 90%). რესპონდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავად ჩამოეწერათ უმაღლეს სასწავლებელში მოქმედი დოქტორანტურის ხარისხის შეფასების მეთოდები. ამ ღია კითხვაზე პასუხების ანალიზის შედეგად გამოვლინდა სამი ძირითადი ასპექტი, რომელიც, რესპონდენტების აზრით, განსაზღვრავს დოქტორანტურის ხარისხს:

1) თავად დოქტორანტის წინასწარი მომზადების დონე, რომელსაც უსდ აკონტროლებს წინასწარი შერჩევის მექანიზმით (საკონკურსო ტესტირება ან გასაუბრება, გამოცდა უცხო ენაში და ა.შ) ; ამ ასპექტზე ყურადღება გაამახვილა ყოველმა მეხუთე უსდ-მ.

2) სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ხარისხი, რომელიც მოწმდება შუალედური ან საბოლოო გამოცდების შედეგებით, სემინარის წევრების შეფასებით და ა.შ - ამ ასპექტზე ყურადღება გაამახვილა უსდ-ების 60%-მა; უსდ-ების დაახლოებით 30%-მა აღნიშნა და, შესაბამისად, აქტუალურად მიიჩნია სადოქტორო პროგრამის (დოკუმენტის) და სილაბუსის სტრუქტურული გამართულობის კონტროლი.

3) სადოქტორო თემის აქტუალობა და ხარისხი დოქტორანტურის ხარისხის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ინდიკატორად აღნიშნა უსდ-ების დაახლოებით მეხუთედმა. უსდ-ების 20%-მა აღნიშნა სტატიები საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში, როგორც დოქტორანტურის ხარისხის ინდიკატორი.

კომპეტენციები და კრედიტების სისტემა

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს სამუშაო ვერსია მოიცავს დოქტორანტურას და მისი კომპეტენციების აღწერა მიბმულია სწავლის შედეგებზე ისევე, როგორც ეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის შემთვხევაშია გაკეთებული.

როგორც უკვე აღინიშნა, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის (მუხლი 46/1) თანახმად, დოქტორანტურა უნდა მოიცავდეს არანაკლებ 180 კრედიტისა. მიუხედავად ამისა, კრედიტების სისტემა დოქტორანტის დატვირთვის გამოსაანგარიშებლად არ გამოიყენება 31-დან ორ შემთხვევაში.

დოქტორანტურის სტუდენტების სტატუსი

კანონი უმაღლესი განათლების შესახებ განსაზღვრავს დოქტორანტის სტუდენტურ სტატუსს, თუმცა იგივე კანონის თანახმად, დოქტორნატი შეიძლება არჩეულ იქნეს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე.

> "დოქტორანტი ითვლება სტუდენტად და ამავდროულად, თუ მას უკავია ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა, აკადემიურ პერსონალად. ჩემი აზრით, სჯობს დოქტორანტს მხოლოდ სტუდენტის სტატუსი ჰქონდეს და მიეცეს საშუალება, დაასრულოს კვლევა. მაგრამ, ამავდროულად, რიგ "ახალ" სფეროებში ჩვენ გვაქვს აკადემიური პერსონალის ნაკლებობა, სადაც მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტები თუ შეძლებენ ამ "ნაპრალის შევსებას"
>
> ექსპერტი

კითხვაზე დოქტორანტების სტა-ტუსთან დაკავშირებით უმაღლესმა სასწავლებლებმა მიუთითეს სამი ვარიანტი - სტუდენტი (უსდ-ების 71%), მკვლევარი (უსდ-ების 17%) და ასისტენტ-პროფესორი (10%). ერთზე მეტი სტატუსი ერთდროულად მიუთითა უსდ-ების დაახლოებით 40%-მა.

ექსპერტების აზრით, ასისტენტ-პროფესორის სტატუსის არსებობა საშუალებობას აძლევს უმაღლეს სასწავლებლებს, გამოიყენოს დოქტორანტების რესურსი აკადემიური პერსონალის გადახალისების მიმართულებით.

დაფინანსებული კვლევა, როგორც დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა

უნივერსიტეტში დაფინანსებული კვლევის არსებობა დოქტორანტურაში მიღების წინაპირობას წარმოადგენს მხოლოდ 3 შემთხვევაში (დაახლოებით 10%) - თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი და მედიცინის მენეჯმენტისა და სტომატოლოგიის ინსტიტუტი - სამივე კერძო უმაღლესი სასწავლებელია. ეს ძალიან საინტერესო მონაცემია, რომელიც ეხმიანება საერთოდ უნივერსიტეტებში კვლევის პოლიტიკას და, გარდა ამისა, დოქტორანტურის დაფინანსების მექანიზმებს (იხ. ქვემოთ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტურის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სემინარის რეკომენდაციები მოიცავდა რჩევას, დაფინანსებული კვლევა ყოფილიყო დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი წინაპირობა.

დოქტორანტურის ფასი და დაფინანსების მექანიზმი

დოქტორანტურის საშუალო წლიური ფასია 2000 ლარი. ფასი თვალსაჩინოდ განსხვავდება უნივერსიტეტების მიხედვით ბიზნესის, ჰუმანიტარული და სამართლის მიმართულებით. მაქსიმალური წლიური ფასია 5000, ხოლო მინიმალური ფასია 1250 ლარი. (იხ. ცხრილი #3).

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის (მუხლი 88/10) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007 წლის პირველ იანვრამდე უნდა შეემუშავებინა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დაფინანსების ახალი წესი და პირობები, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. იქვე აღნიშნულია (მუხლი 88/11), რომ ამ კანონით განსაზღვრული მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დაფინანსების წესი უნდა ამოქმედდეს ამ კანონის საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სტუდენტების შესაბამისი პროგრამით სწავლების დაწყებასთან ერთად. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამუშაო ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს. თუმცა ამავდროულად 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი თანხები დოქტორანტების სტიპენდიისათვის. კერძოდ, 720000 ლარის გამოყოფა მაღალი აკადემიური მოსწრების დოქტორანტებისათვის, რათა დაიფაროს მათი საშუალო თვიური სტიპენდია დაახლოებით 500 ლარის ოდენობით, რაც დოქტორანტებს მისცემს სწავლის საფასურის ნაწილობრივი "გათანაბრების" საშუალებას. სტიპენდიები დოქტორანტებს უნივერსიტეტების წარდგინებით უნდა მიენიჭოთ. ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ბიუჯეტის ეს პროექტი არ დამტკიცებულა.

დღეისათვის დოქტორანტურის დაფინანსების ძირითადი წყაროა სტუდენტების თვითდაფინანსება (90%), უფასო დოქტორანტურას სტუდენტებს სთავაზობს უსდ-ების 30%. თუმცა, ეს ფორმა გამოიყენება დაფინანსების სხვა ფორმებთან კომბინაციაში. უფასო დოქტორანტურა, როგორც ერთადერთი ფორმა, გვხვდება მხოლოდ ერთ უნივერსიტეტში (ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი). დაფინანსების სხვა წყაროები (კვლევითი გრანტები, სპონსორის დაფინანსება) მითითებული აქვს უსდ-ების 15 პროცენტს. უსდ-ების დაახლოებით მესამედი იყენებს დოქტორანტურის დაფინანსების ერთზე მეტ წყაროს.

მაგისტრატურა

მაგისტრატურა მოქმედებს საქართველოში აკრედიტირებული უსდ-ების 84%-ში. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის (მუხლი 48/3) თანახმად, მაგისრატურაში სწავლის უფლება აქვთ ბაკალავრს და დიპლომირებულ მედიკოსს (ვეტერინარს). მიღების სხვა პირობების დადგენა უნივერსიტეტებს ავტონომიურად შეუძლიათ. ამავდროულად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა ჩააბარონ საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ). საერთო სამაგისტრო გამოცდა განიხილება მაგისტრატურაში ჩარიცხვის პროცესის აუცილებელ, მაგრამ არა ერთადერთ გადამწყვეტ კომპონენტად. პირველი საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარება ნავარაუდებია 2009 წელს. გამოცდა სავალდებულო იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკრედიტირებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდება მაგისტრატურის დაფინანსების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტებს შეუძლიათ უარი თქვან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე. საერთო სამაგისტრო გამოცდის პრინციპები და ფორმა მუშავდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, სათანადო პროექტის ფარგლებში.

სქემა #10 ასახავს საქართველოში აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში მაგისტრატურაში მიღების მოთხოვნებს და მათ გავრცელებულობას.

სქემა #10



უსდ-ების მონაცემებით, მაგისტრანტების ნაკადში (ბოლო წლის მიღება) იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც იმავე წელს დაამთავრეს ბაკალავრიატი შეადგენს დაახლოებით ნახევარს. თუმცა, ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მაჩვენებელი უახლოვდება 100 %-ს. კერძო უსდ-ებში რაოდენობა უფრო დაბალია, ვიდრე სახელმწიფოებში და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. განსხვავება, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კერძო უმაღლესი სასწავლებლების ნაწილში სამუშაო სტაჟი მოქმედებს, როგორც დამატებითი მოთხოვნა მაგისტრატურაში მისაღებად. სტუდენტების ფოკუს ჯგუფზე და, ასევე, ექსპერტებთან ინტერვიუში გაიჟღერა მოსაზრებამ, რომ მაგისტრატურაში ჩაბარება ხშირად განპირობებულია "ინერციით", რადგან "ბაკალავრიატი განიხილება როგორც არასრული უმაღლესი განათლება და არა როგორც თვითკმარი საფეხური". მაგისტრანტების ნაკადში იმავე წელს დამთავრებული ბაკალავრების მაღალი პროცენტი შეიძლება აგრეთვე მიუთითებდეს დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობაზე.

უსდ-ების მონაცემებით 2007-2008 წ.წ. მაგისტრატურაში ჩააბარა 4000-მდე სტუდენტმა. აქედან დაახლოებით მეხუთედი სწავლობს ბიზნესის მიმართულებით. სტუდენტების დაახლოებით ნახევარი თანაბრად არის განაწილებული ჰუმანიტარული, სოციალური და სამართალმცოდნეობის მიმართულებით. ექსპერტების აზრით, სტუდენტების კონცენტრაცია ბიზნესის მიმართულებით შეიძლება მიუთითებდეს საქართველოში ე.წ " Career guidance" სისტემის არარსებობაზე. პოტენციურ სტუდენტებს ნაკლები წარმოდგენა აქვთ სხვადასხვა პროგრამებზე და აბარებენ ბიზნესის მიმართულებით.

მაგისტრატურაში ჩაბარებისას არ უნდა გქონდეს სირაქლემას პოზიცია, რომ ჯერ მაგისტრატურას დავამთავრებ და შემდეგ ვიშოვი სამსახურს. უნდა გქონდეს მიზანი, რისთვის გჭირდება მაგისტრატურა. სტუდენტი

ცხრილი #6 შეიცავს მონაცემებს სტუდენტების განაწილების, კონკურსისა და მაგისტრატურის წლიური ფასის შესახებ დარგების მიხედვით. ყველა დარგის მიხედვით კონკურსის საშუალო მაჩვენებელია 1.25. ბიზნესის, სამართალმცოდნეობისა და ჯანდაცვის შემთხვევაში კონკურსის მაჩვენებლები გაფანტულია, დამოკიდებულია კონკრეტულ უსდ-ზე. მაგისტრატურის საშუალო წლიური ფასია 2000 ლარი. თუმცა, ფასი მერყეობს 1000-დან 6600-მდე, ფასების განსხვავებები უნივერსიტეტების მიხედვით დიდია ბიზნესის, სოციალური მეცნიერებებისა და სამართალმცოდნეობის მიმართულებით.

ცხრილი #6 მაგისტრანტების განაწილება, კონკურსი და მაგისტრატურის წლიური ფასი დარგების მიხედვით (2007-2008 წელი)

	სტუდენტები		**კონკურსი**			**ფასი**		
დარგი	ჯამი	%	მინ	მაქს	მედიანა	მინ	მაქს	მედიანა
ბიზნესი	734	19	1	8.83	1.28	1250	4500	2000
ჰუმანიტარული მეცნიერებანი	641	16	1	2.29	1.39	1250	3000	1900
სოციალური მეცნიერებანი	623	16	1	2.27	1.17	1000	4000	2000
სამართალ-მცოდნეობა	615	16	1	4.78	1.26	1500	6600	2000
ინჟინერია, მშენებლობა და მრეწველობა	459	12	1	1.46	1.13	1000	2250	1500
განათლება	227	6	1	1.87	1.13	1250	3500	1550
საბუნების-მეტყველო მეცნიერებები	173	4	1	3.19	1.39	1000	2250	1600
სოფლის მეურნეობა და ვეტერინარია	166	4	1	1.25	1.13	1000	1500	1250
მათემატიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები	145	4	1	2.69	1.11	1250	3800	1650
ხელოვნება	73	2	1	1.50	1.30	1250	3000	1500
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	49	1	1	5.19	1.50	2000	2500	2350
სულ:	3905				1.25	1000	6600	2000

კავშირი უმაღლეს განათლებასა და კვლევას შორის

უმაღლესი სასწავლებლების კვლევითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი აქტივობა მათი მისიიდან გამომდინარეობს - სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება წარმოუდგენელია მნიშვნელოვანი კვლევითი კომპონენტის გარეშე და რადგანაც მოქმედი 52 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 84%-ში ხორციელდება სადოქტორო და სამაგისტრო, ან მხოლოდ სამაგისტრო პროგრამები, სამეცნიერო პოტენციალი მაღალი უნდა იყოს.

ექსპერტებისა და აკადემიური პერსონალის აზრით, ამ მხრივ უმაღლეს სასწავლებლებში სერიოზული პრობლემებია.

„საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში კვლევა ნაკლებად მიმდინარეობს, ყოველ შემთხვევაში, ინსტიტუციონალურ დონეზე. ამაზე მეტყველებს ძალიან ბევრი ფაქტი: პრიორიტეტების არარსებობა სახელმწიფო დონეზე და უმაღლესი სასწავლებლების დონეზე. უნივერსიტეტების შიგნით კვლევითი ფონდების არარსებობა.

სისტემა გაუმჭვირვალეა, გაურკვეველია სტრუქტურა, არ არსებობს დაკვეთა, არ არსებობს პროდუქტი“. ექსპერტი

უმაღლესი სასწავლებლების მონაწილეობა ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში და მათი წარმატების მაჩვენებლები ადასტურებს ამ მოსაზრებას. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (www.gnsf.ge) მიერ 2007 წელს ჩატარებულ კონკურსში საპროექტო განაცხადების წარმდგენ ორგანიზაციებს შორის, მხოლოდ 8,84% იყო საგანმანათლებლო დაწესებულება - შედარებისათვის, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტები (საქართველოში 66 ასეთი ინსტიტუტია) - 52,39%. დაფინანსებული პროექტების მიხედვით, შესაბამისად, უსდ-ების ხვედრითი წილი აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან შედარებით ასევე დაბალია.

დეტალური მონაცემები საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

დანახარჯი კვლევაზე, როგორც შიდა ეროვნული პროდუქტის წილი

პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება კვლევებზე საქართველოში შეადგენს მშპ-ს 0,18%. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგულისხმება როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პირდაპირი დაფინანსება, ასევე სახელმწიფო ფონდებიდან გრანტების სახით გაცემული თანხები, თუმცა აქ ვერ აისახება ანივერსიტეტებში მიმდინარე კვლევის სახელმწიფო დაფინანსება;

კერძო სამეცნიერო ფონდები საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. არსებობს საქველმოქმედო ფონდები, რომლებიც სახსრებს მაგ. შენობების რემონტში დებს - მაგ. ივანეიშვილის ფონდმა 25 მილიონი ლარი გამოყო თსუ-ს გარემონტებაზე. როდესაც საუბარია სამეცნიერო კველვის კერძო დაფინანსებაზე, ძირითადად იგულისხმება ბიზნეს სექტორის დაკვეთა.

მთლიანი ეროვნული წლიური დანახარჯები კვლევაზე (ეროვნულ ვალუტაში)

სახელმწიფო ფონდებიდან -

ა) მეცნიერებათა აკადემიის 66 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტმა 2008 წელს მიიღო 14 მილიონი ლარი.

ბ) საგრანტო დაფინანსება სახელმწიფო სამეცნიერო ფონდებიდან - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი – 10,5 მილიონი, რუსთაველის ფონდი - 2,9 მილიონი ლარი.

კერძო ფონდებიდან -

კერძო სამეცნიერო ფონდები საქართველოში არ არსებობს. უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან 2007 წლეს მოზიდული იქნა 14-16 მილიონი ლარი როგორც აკადემიის სისტემის ინსტიტუტების, ასევე უსდ-ებისა და სხვა ორგანიზაციების (მათ შორის არასამთავრობო) მიერ სამეცნიერო კვლევისათვის.

2008 წ.-ს უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი პროგრამა დაფინანსდა 15, 562 მილიონი ლარით, თუმცა არაა ცნობილი, პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსებიდან რა თანხას ხარჯავენ უნივერსიტეტები კვლევაზე.

ინფორმაციის წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

დაფინანსებული პროექტების შესახებ იხ. ***ცხრილში #4*** (ცხრილში არ არის ნაჩვენები არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობის მაჩვენებლები):

წელი	წარდგენილი განაცხადების პროცენტული მაჩვენებელი		დაფინანსებული პროექტების პროცენტული მაჩვენებელი	
	აკადემია	უსდ	აკადემია	უსდ
2006	**52,8%**	**9,9%**	**72,1%**	**20,9%**
2007	**52,39%**	**8,84%**	**63,89%**	**19,44%**

თუ განვიხილავთ 2007-2008 წლებში საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მიმღები ორგანიზაციების სახელობით სიას, აღმოჩნდება, რომ სამეცნიერო გრანტი მიიღო მხოლოდ 9 სახელმწიფო უნივერსიტეტმა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
2. ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
5. საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი,
6. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი,
7. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი,
8. შორა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი),
9. ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული სამცენირო ფონდის დებულებიდან (მუხლი 4/4) (www.government.gov.ge/aqtebi_full.php?nid=715) გამომდინარე, გრანტის მიმღები ორგანიზაცია შეიძლება იყოს საჯარო სამართლისა და კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი. ანუ კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ზოგიერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ კონკურსებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს.

ეს შეზღუდვა მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები უფრო ხშირად არიან კვლევითი გრანტების ბენეფიციარები კერძოებთან შედარებით. გარკვეულ როლს, ალბათ, თამაშობს ასევე კერძო უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების პროფილი - ძირითადი აქცენტი კეთდება ბაზარზე მოთხოვნად ბიზნესის ადმინისტრირებასა და სამართალზე მაშინ, როდესაც ფუნდამენტური მეცნიერებები პრაქტიკულად უგულებელყოფილია. განსაკუთრებით მკაფიოა ეს განსხვავება კერძო ან სახელმწიფო ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დაფინანსების შემთხვევაში. ამ წყაროდან გრანტი მიიღო კერძო უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ 3 %მა მაშინ, როდესაც იგივე წყაროდან გრანტი მიიღო სახელმწიფო უსდ-ების 30%-მა. კერძო უსდ-ები ორჯერ უფრო იშვიათად არიან ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ფონდების ბენეფიციარები, ვიდრე სახელმწიფო უსდ-ები.

სქემა #4 კვლევითი გრანტების ბენეფიციარები კერძო და სახელმწიფო უსდ-ების მიხედვით (პროცენტი კერძო და სახელმწიფო უსდ-ების მთლიანი რაოდენობიდან)



სახელმწიფო სამეცნიერო ფონდების გარდა, კვლევების (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო სფეროში) დაფინანსების სერიოზულ წყაროს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები წარმოადგენს. კვლევის დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია ნაჩვენებია სქემაში #6. ცხრილში # 5 მოცემულია სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების მიერ კვლევაზე მოპოვებული თანხები.

სქემა#6 კვლევითი პროექტების დაფინანსების წყაროები გამოყენებადობის მიხედვით (ყველა უსდ %)



ცხრილი#5 უსდ-ების მიერ მოზიდული თანხა კვლევითი პროექტებისათვის (2006-2008) დაფინანსების წყაროებისა და უსდ-ს სტატუსის მიხედვით.

		ადგ.სამეცნ.	ადგ. სახ/კერძო	საერთ.სამეცნ.	სხვა
კერძო	საშუალო	32489	2000	41175.6667	13271
	N	7	1	3	2
	მაქსიმუმი	150000	2000	109735	18100
	მედიანა	6629	2000	7000	13271
	ჯამი	227423	2000	123527	26542
სახელმწიფო	საშუალო	884475.6	110497.5	3610266.5	47895
	N	10	6	4	2
	მაქსიმუმი	4628996	258787	9507956	64000
	მედიანა	404903.5	72600	2366555	47895
	ჯამი	8844756	662985	14441066	95790
სულ	საშუალო	533657.5882	94997.8571	2080656.14	30583
	N	17	7	7	4
	მაქსიმუმი	4628996	258787	9507956	64000
	მედიანა	105000	53200	200000	24945
	ჯამი	9072179	664985	14564593	122332

თანამშრომლობა კვლევის სფეროში - სამომავლო პერსპექტივები

კვლევით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების ძირითადი წინაპირობა თავად უსდ-ებში კვლევითი პრიორიტეტების ჩამოყალიბება და ამ ინფორმაციის მისაწვდომობაა. ექსპერტებისა და და აკადემიური პერსონალის აზრით, ხშირად უმაღლეს სასწავლებლებს მკაფიოდ არ აქვთ ჩამოყალიბებული მისია, არ არის მკაფიო ხედვა კვლევითი პრიორიტეტების მხრივაც. კვლევითი აქტივობის ინტენსიფიკაციისაკენ მიმართულ სტრუქტურულ ცვლილებებს არ მივყავართ რეალურ შედეგამდე.

„რეფორმა ამ სფეროში უნდა დაიწყოს ქვემოდან. საწყისი წერტილი უნდა იყოს ცალკეული ინდივიდები, რომელთა ირგვლივ უნდა ჩამოყალიბდეს სკოლები. სერიოზული ძალისხმევა უნდა დაიხარჯოს ამგვარი ადამიანების იდენტიფიკაციაზე, მათი მოტივაციის ფორმირებაზე, მათთვის კარგი სამუშაო პირობების შექმნაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ამ მხრივ გარე ძალების, საერთაშორისო პარტნიორების როლიც. მიდგომა, რომელიც გულისხმობს აქცენტს სტრუქტურულ რეფორმაზე, იმ დაშვებით, რომ ხელოვნურად შექმნილი სტრუქტურა შემოიკრებს ადამიანებს, მცდარია“. ექსპერტი

უნივერსიტეტების ნაწილში არის კვლევითი აქტივობის ინტერნაციონალიზაციის მცდელობები. უსდ-ების ნაწილში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების რაოდენობა კვლევითი კომპონენტის ხარისხის შეფასების ფორმალური ინდიკატორია. თუმცა, ამ მხრივ, ისევე როგორც აკადემიური პერსონალის მობილობის თვალსაზრისითაც, სერიოზულ პრობლემას ქმნის ენობრივი ბარიერი. კიდევ უფრო რთული ვითარებაა უსდ-ების კვლევითი პოტენციალის პოპულარიზაციის კუთხით ადგილობრივ ბაზარზე, რადგან ამ მიმართულებას საერთოდ არ ექცევა ყურადღება.

მიუხიდავად იმისა, რომ კვლევით პროექტებში თანამშრომლობის ფორმების გამრავალფეროვნების კუთხით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, უსდ-ების მონაცემებით კვლევითი პროექტების ფარგლებში ისინი უკვე საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ბიზნეს სექტორთან. თანამშრომლობის მინიმუმ ერთი ფორმა მიუთითა 33-მა უსდ-მ (52-დან). ყველაზე ნაკლებად უსდ-ები თანამშრომლობენ ბიზნეს სექტორთან.

სქემა #5 კვლევით პროექტებში თანამშორმლობის ფორმები (უსდ რაოდენობა)



2007 წელს (2006 წლის მონაცემები არ არსებობს) საქართველოს მეცნიერების ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტთა შორის 13,9% ხორციელდება უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პარტნიორობით.

ექსპერტები საუბრობენ კვლევით პროექტებში თანამშრომლობის სამ შესაძლო პერსპექტიულ ვარიანტზე:

1) შერწყმა, როდესაც კვლევითი ინსტიტუტი ხდება უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, ამის მაგალითები უკვე არსებობს, მაგალითად ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიერთა სეისმური მონიტორინგის სამსახური;
2) კომერციალიზაცია - ბიზნესის პირდაპირი დაკვეთების შესრულება, თუმცა როგორც ჩანს სქემიდან #5 ბიზნესი ყველაზე იშვიათად წარმოადგენს უსდ-ს პარტნიორს კვლევით პროექტებში.
3) მძლავრი კვლევითი ცენტრების/კონგლომერატების ჩამოყალიბება - ექსპერტების აზრით, საქართველოს რესურსებიდან გამომდინარე მაქსიმუმ 5 ასეთი ცენტრის ჩმოყალიბებაა შესაძლებელი.

უმაღესი სასწავლებლების აზრით, თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, საჭიროა: კვლევითი პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა უსდ-ს დონეზე და ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეებისათვის; საქართველოში მეცნიერების განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება, სადაც გაწერილი იქნება პრიორიტეტები და ხელშეწყობის პირობები. პრიორიტეტული მიმართულებებით კვლევის კოორდინაცია; კვლევების დაფინანსებისათვის, ბიზნეს სექტორისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება და სხვა ბერკეტების შექმნა კვლევის სფეროში სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის მოტივაციის გაზრდისათვის; სხვადასხვა სექტორებს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების დანერგვა - ერთობლივი კონფერენციები,

შეხვედრები, სემინარები და ა.შ. სახელმწიფო და კერძო უმაღესი სასწავლებლებისათვის თანაბარი პირობების შექმნა მეცნიერების ხელშეწყობის სახელმწიფო ფონდებით სარგებლობისათვის; კვლევის ინტერნაციონალიზაცია - საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, ზოგადად, კვლევის ხარისხის გაუმჯობესება; ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა სახელმწიფოს მხრიდან; სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა.

საფეხურების ხელმისაწვდომობა

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიხედვით, მაგისტრატურა, განმარტებიდან გამომდინარე, ხელმისწვდომია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ნებისმიერი პიროვნებისათვის და შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სპეციალობის შეცვლის საშუალება. ასე რომ კანონის მიხედვით, არ არსებობს არც დარგობრივი შეზღუდვები მეორე საფეხურის ხელმისაწვდომობის კუთხით. მაგისტრანტების არსებული ნაკადიდან 50% არის იმავე წელს ბაკალავრიატის კურსდამთავრებული.

ფოკუს ჯგუფის მონაცემებით, სტუდენტების ნაწილს სურს სპეციალობის შეცვლა, ძირითადად კი სამეცნიერო კველვების ჩატარება. დასაქმების შანსების გაზრდა არც ერთ სტუდენტს არ დაუსახელებია, როგორც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მოტივაცია.

საქართველოში არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვები საფუხიდან საფეხურზე გადასასვლელად დარგის შეცვლის შემთხვევაში. უნივერსიტეტს შეუძლია დამატებითი კურსის გავლა მოითხოვოს. მაგრამ, პრაქტიკულად, ასეთ შემთხვევებს ადგილი არ ქონია. მაგისტრანტების უმრავლესობა საკუთარი დარგის ფარგლებში აგრძელებს სწავლას. სპეციალობის შეცვლისას კი ყველაზე უფრო მოთხოვნადია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურა. პრაქტიკულად არც ერთი უნივერსიტეტი ამ სპეციალობაზე დამატებითი კურსების გავლას არ ითხოვს. თუმცა, ხშირია მისაღები გამოცდა მათემატიკასა და უცხო ენაში.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის (მუხლი 49/1) თანახმად, დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, აგრეთვე რეზიდენტს. მიღების სხვა პირობების დადგენა უნივერსიტეტებს ავტონომიურად შეუძლიათ. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის თანახმად, მესამე საფეხური ხელმისაწვდომია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ყველა პიროვნებისათვის.

საქართველოში არ არსებობს კვალიფიკაციები, რომლებიც ხელმისაწვდომს არ ხდის შემდეგ საფეხურს. ბარიერად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფინანსური რესურსების ნაკლებობა, რადგანაც თითქმის ყველა უნივერსიტეტში დოქტორანტურა თვითდაფინანსების ფორმატით ხორციელდება. როგორც უკვე აღინიშნა, დოქტორანტურაში სწავლის დაფინანსების მექანიზმი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჯერ შემუშავებული არ არის, მაგრამ, ამავდროულად, 2009 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტიპენდიებს წარმატებული დოქტორნატებისათვის.

კურსდამთავრებულთა დასაქმება და დამსაქმებელთან ურთიერთობა

კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა

ამ დრომდე სახელმწიფო დონეზე პრაქტიკულად არ ჩატარებულა მომცველობითი კვლევა ამ მიმართულებით. უმაღლესი სასწავლებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა

(დაახლოებით 60%) აწარმოებს სტუდენტთა და კუსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვას (სქემა #7). კერძო უსდ-ებში კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვის შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე სახელმწიფო უსდ-ებში და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (სქემა #10). Chi-Square 13.661, Sig. 0.001

სქემა#7 პასუხი კითხვაზე "აწარმოებთ თუ არა კურსდამთავრებულების დასაქმების აღრიცხვას " (უსდ-ების პროცენტი)



სქემა #8 კურსდამთავრებულთა დასაქმების აღრიცხვა კერძო და სახლემწიფო უსდ-ებში (უსდ %)



კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებები

მაგისტრანტების დასაქმების მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ბაკალავრების და ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია . t -3.030, sig 0.014. მიუხედავად ამისა, უსდ-ების დონეზე არ ტარდება განსაკუთრებული, განსხვავებული ღონისძიებები ბაკალავრების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ოფიციალური კანონმდებლობით, პირველი საფეხურის კურსდამთავრებულები თანაბარ პირობებში არიან სხვა კურსდამთავრებულებთან. ექსპერტების აზრით, ძირითადი პრობლემაა დამსაქმებლების ცუდი ინფორმირებულობა ბაკალავრების კვალიფიკაციის შესახებ. სავარაუდოდ, კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შემოღებამ ეს პრობლემა უნდა მოხსნას.

უმაღლესი სასწავლებლების 85% აღნიშნავს, რომ ატარებს ღონისძიებებს სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისათვის. უსდ-ების 45%-ს აქვს ხელშეკრულებები ბიზნესთან დასაქმებასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით. 27% ორგანიზაციას უწევს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს პოტენციურ დამსაქმებლებთან. უსდ-ების 10% აწარმოებს დიალოგს დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების საკითხებზე; ბაზრის შესწავლასა და არსებული ვაკანსიების აღრიცხვას აწარმოებს შესაბამისად უსდ-ების 9% და 11% (სქემა #8).

საჯარო სექტორში მუშაობის წესი დარეგულირებულია შრომის კანონმდებლობით. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უსდ-ების მიერ გაცემულ დიპლომს, ანუ სახელმწიფო სამსახურში მუშაობის უფლება აქვს ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უსდ-ების კურსდამთავრებულს.

ამ ეტაპზე საქართველოში საჯარო სექტორში სამსახურში მიღების პროცედურები და კარიერული სტრუქტურა ბოლონიის რეფომების შესაბამისად არ არის განსაზღვრული. პირველ რიგში, თავად დამსაქმებლების მხრიდან ხშირად არაა მკაფიოდ ფორმულირებული ის მოლოდინები, რომლებიც მათ აქვთ მომავალი თანამშრომლებისადმი. რიგ შემთხვევებში, არ არსებობს დეტალურად გაწერილი სამუშაოს აღწერილობა. ამ მიმართულებით აუცილებელია ინტენსიური დიალოგი განათლებისა და შრომის ბაზრის წარმომადგენლებს შორის.

2007 წლიდან საქართველოში ხორციელდება უმაღლესი პროფესიული პროგრამები, რომელბიც განიხილება, როგორც მოკლე ციკლი ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში. რამდენადაც ამ პროგრამების მოცულობა 120-დან 180 კრედიტამდეა და პირველი ჩარიცხვა განხორციელდა 2007 წელს, ამჟამად კურსდამთავრებულთა შესახებ მონაცემები არ არსებობს.

სქემა#8 სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის ხერხები (უსდ %)



დამსაქმებელთან ურთიერთობის ფორმები

უსდ-ების მონაცემებით დამსაქმებელთან ურთიერთობას აწარმოებს 80%. სქემა #9 ასახავს დამსამებლებთან ურთიერთობის ფორმებს გავრცელებულობის მიხედვით. უმაღლესი სასწავლებლები, ძირითადად, თანამშრომლობენ ბიზნეს სექტორთან დასაქმების საკითხებზე (80%). უსდ-ების ნახევარზე მეტს ჩართული

ჰყავს ბიზნეს სექტორი სასწავლო პროგრამების შემუშავების პროცესში. 6 უმაღლესი სასწავლებლებელი (17%) თანამშრომლობს ბიზნესთან მართვის საკითხებზე. ექვსივე კერძო უმაღლესი სასწავლებელია.

სქემა #9 დამსაქმებელთან ურთიერთობის ფორმები გავრცელებულობის მიხედვით (უსდ %)



დამსაქმებლის მონაწილეობა აკრედიტაციაში/ხარისხის მართვაში/უმაღლესი სასწავლებლის მართვაში

დამსაქმებლებთან ურთიერთობას ამ კონტექსტში ასევე ახორციელებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი 2009 წლიდან გეგმავს დარგობრივი საბჭოების შექმნას, სადაც სავალდებულო წესით იქნებიან წარმოდგენილი დამსაქმებლები.

უმაღლესი პროფესიული განათლების აკრედიტაციის საბჭოს შექმნა დაგეგმილია 2009 წელს და მის შემადგენლობაში დამსაქმებლების წარმომადგენლები უნდა შევიდნენ.

რაც შეეხება უნივერსიტეტებს, დამსაქმებლების მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ჯერ შეზღუდულია, ნაწილობრივ, ხარისხის დაბალი კულტურის გამო, ხოლო ძირითადად იმ მიზეზით, რომ ამ ეტაპზე განხორციელებული ინსტიტუციური აკრედიტაციის კრიტერიუმები ძირითადად რაოდენობრივი იყო და თვისებრივ მაჩვენებლებს ნაკლებად გულისხმობდა. ინსტიტუციური აკრედიტაციის ახალი კრიტერიუმების შემოღებამ ისევე, როგორც პროგრამული აკრედიტაციის პროცესის დაწყება მნიშვნელოვნად წამოწევს წინ დამსაქმებლების როლს, რადგანაც აქცენტი რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან გადაინაცვლებს შინაარსობრივ ასპექტებზე.

ამ ეტაპზე დამსაქმებლების ჩართულობა შემოიფარგლება პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობით (იხ. ზემოთ), პრაქტიკის უზრუნველყოფაში (უსდ-ების 45%) და ასევე ნაშრომების დაცვასა და კონფერენციებზე დასწრებით (შესაბამისად 7% და 6%). როგორც ზევით უკვე აღინიშნა, მხოლოდ 6 უმაღლესი სასწავლებლებელი (17%) თანამშრომლობს ბიზნესთან მართვის საკითხებზე, ექვსივე კერძო უმაღლესი სასწავლებელია.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

”უმაღლესი განათლების შესახებ” კანონი საზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სტრუქტურას, და მათ შორის სავალდებულო წესით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის არსებობას (მუხლი 25). შესაბამისად, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა კანონის მოთხოვნაა. მართალია, კერძო სამართლის

იურიდიული პირებისთავის ეს სავალდებულო მოთხოვნა არაა, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ ყველა კერძო უსდ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან რომელიმე სხვა სტრუქტურა ითავსებს ამ ფუნქციას. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესმა, რომლის ფარგლებშიც თვირშეფასების ანგარიშის მომზადება სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს დაევალა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მუშაობის ხანგრძლივობა საქართველოს უნივერსიტეტების უმრავლესობაში მოიცავს მხოლოდ სამ წელს. ამ პერიოდში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა საგანმანათლებლო პროცესის მოწესრიგებაზე და ინსტიტუციური აკრედიტაციისათვის თვითშეფასების მომზადებაზე.

სსიპ-ებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ". კვლევამ აჩვენა, რომ კერძო უსდ-ებში სამსახურები პრაქტიკულად იგივე ფუნქციას ასრულებს.

თანამშრომლების რაოდენობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში მერყეობს 1-დან 22-მდე. ყველაზე გავრცელებული რაოდენობაა 2 თანამშრომელი (16 უსდ), უსდ-ების 80%-ში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდნეობა არ აღემატება 7 ადამიანს. უსდ-ების 90%-ზე მეტს შემუშავებული აქვს დებულება.

სქემაში #13 მოცემულია ასპექტები, რომლებსაც არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი დოკუმენტები. ამ ეტაპზე საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების ნახევარზე მეტში დოკუმენტაციის დონეზე დარეგულირებულია პროგრამებისა და სილაბუსების შედგენის წესი, უსდ-ების უმეტსობაში განსაზღვრულია თავად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები, უსდ-ების 33%-ში მოქმედებს სტუდენტების გამოკითხვის უნიფიცირებული ფორმები, შედარებით სუსტად არის დარეგულირებული კრედიტების აღიარებისა და მობილობის წესები.

სქემა #13 ასპექტები, რომელბსაც არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (უსდ %)



ყველა უსდ-ში აკადემიურ პერსონალს დახმარებას უწევენ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის დანერგვაში - მოქმედებს ტრენინგ პროგრამები, შემუშავებულია დამატებითი ინსტრუქციები. თუმცა, აკადემიური პერსონალის ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ კრედიტების გაანგარიშების წესი აკადემიური პერსონალის ნაწილისათვის კვლავაც გაუგებარია. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების დიდი ნაწილი თავადაც არასწორად იყენებდა ტერმინებს კონტექსტში, ახდენდა ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას.

ფოკუს ჯგუფის მონაცემებით, სტუდენტები რეგულარულად მონაწილეობენ როგორც პროგრამების, ასევე სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებაში. რიგ შემთხვევებში, სტუდენტების უარყოფითი შეფასება ზოგი პროფესორის შეცვლის საფუძველიც გამხდარა. ამავდროულად, სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ბევრი გულწრფელად არ ავსებს მოწოდებულ კითხვარებს - ზოგი ინდიფერენტულობის, ზოგიც კი დროის უკმარისობის გამო - სემესტრის ბოლოს უამრავი კითხვარი გროვდება და ხშირად სტუდენტები ავტომატურად ავსებენ პასუხებს: "თითო თემაზე 4-5 ფურცლიანი კითხვარებია, ამიტომ ყველას არ სურს 40 ფურცლის შევსება".

როგორც ჩანს სქემიდან #13, ამ ეტაპზე უმაღლესი სასწავლებლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს ხარისხის მონიტორინგისათვის, თუმცა, ეს პროცესი ყველანაირ აზრს არის მოკლებული, თუ იგი არ არის ინტეგრირებული ხარისხის გაუმჯობესების ერთიან სტრატეგიაში და ამ ინფორმაციის შეგროვებას არ მოჰყვება როგორც უარყოფითი, ისე დადებითი, წამახალისებელი სანქციების დაწესების გამჭვირვალე მექანიზმი.

ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგია

უსდ-ების მონაცემებით, ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია არსებობს უსდ-ების 80%-ში. თუმცა, მათგან მხოლოდ ნახევარს აქვს გამოქვეყნებული სტრატეგია ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდების შემოწმებამ აჩვენა, რომ ეს ციფრი რეალურად კიდევ უფრო დაბალია.

უსდ-ების 70%-ში მოქმედებს სწავლისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული სქემები. თუმცა, აქცენტი, ძირითადად, კეთდება სტუდენტთა რეიტინგზე დაფუძნებულ ბონუსებზე, ნაკლები ყურადღება ექცევა აკადემიური პერსონალის წახალისებას (სქემა #14).

ექსპერტების აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში და უსდ-ებს შორის ჯერ-ჯერობით სუსტად არის ჩამოყალიბებული ჰორიზონტალური კავშირები - არ არსებობს, მაგალითად, რექტორების კონფერენცია, პროფესორების პროფესიული ასოციაცია და ა.შ.

სქემა #14 კვლევის და სწავლის ხარისხის წახალისების სქემები



პროგრამების მიღების პროცედურა

გამოკითხვის მიხედვით, უსდ-ების 62%-ს აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა პროგრამებისა და დიპლომების დამტკიცემის, მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმების წესები. უსდ-ებიდან მხოლოდ ოთხში არ მოქმედებს პროგრამების შედგენის ერთიანი ფორმა, დანარჩენებიდან მხოლოდ ორს არ აქვს ამ ფორმაში კომპეტენციების სექცია, მხოლოდ ერთ უსდ-ში არ მოქმედებს პროგრამების დამტკიცების ოფიციალური წესი,

სწავლის შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები

სწავლის შედეგების სექციის არსებობა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია როგორც უსდ-ების ლიცენზირების, ასევე ინსტიტუციური აკრედიტაციის დროს. შესაბამისად, ფორმალურად მაინც, ეს სექცია ყველა კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. რეალურად, სწავლის შედეგებში დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ადეკვატური გაწერა ჯერ კიდევ ბევრ სამუშაოს მოითხოვს.

უსდ-ების 90% აღნიშნავს, რომ ატარებს რაიმე სახის ღონისძიებებს სწავლის შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. თუმცა, კონკრეტული მეთოდების ჩამონათვალის ანალიზიდან ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს თავადაც არ აქვთ კარგად გააზრებული სწავლის შედეგების - კომპეტენციების ცნების რეალური მნიშვნელობა. უსდ-ების დაახლოებით 20%-მა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შესაბამისი ინსტრუქციები, დაახლოებით 30% ატარებს ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს სწავლის შედეგების/კომპეტენციების განსაზღვრის საკითხზე, უსდ-ების 37%-ის პასუხები კი არ არის რელევანტური - მაგალითად, კომპეტენციების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებად უსდ-ები მიიჩნევენ "სავალდებულო სასერტიფიკატო გამოცდას უცხო ენასა და კომპიუტერში".

> სასწავლო პროგრამა ჯერ კიდევ სრულად ვერ ასახავს სამუშაო ბაზრის რეალურ მოთხოვნებს– ნაწილობრივ იმიტომ, რომ პროფესორებს არ ესმით ამ დიალოგის მნიშვნელოვნება, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ თავად პროფესიულ საზოგადოებასაც უჭირს საკუთარი საჭიროებების მკაფიოდ ჩამოყალიბება.
>
> *ექსპერტი*

სწავლების შედეგების გაზომვის პრაქტიკა

კრედიტების სისტემის შემოღება თავისთავად გულისხმობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გაზომვას წინასწარ ცნობილი და გაზიარებული კრიტერიუმების მიხედვით. ყველა უნივერსიტეტის სილაბუსებში მოცემული უნდა იყოს სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები. ისევე როგორც სწავლის შედეგების სექცია, ეს ნაწილიც ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებისათვის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

სტუდენტთა ფოკუს ჯგუფმა უჩვენა, რომ სტუდენტების მიერ სილაბუსებს წინასწარ გაცნობის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი სწორედ შეფასების კრიტერიუმების გაგებაა. თუმცა, ამავდროულად, სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ხშირად სილაბუსში ერთი წერია, რეალურად კი სხვა რამ ხდება.

სტუდენტების დატვირთვის შეფასებისა და შემოწმების ხერხებს უსდ-ებმა მიაკუთვნეს: სტუდენტების გამოკითხვა (30%), მოსწრების ანალიზი (13%), უსდ-ების 7%-ში შემუშავებულია დამატებითი განმარტებები და ინსტრუქციები.

მე ყველა ლექტორი პირველი კურსიდან მირიგებდა სილაბუსს, მაგრამ მიმქონდა სახლში და ვდებდი უჯრაში. იქ დეტალურად არის მითითებული, რა უნდა ვისწავლოთ, მაგრამ სილაბუსი იმდენად ფორმალურად მეჩვენება, რომ არ ვკითხულობ და ასეა სტუდენტების დიდი უმრავლესობა. ეს არის უბრალოდ საბუთი, რომელიც უნდა ჰქონდეს ლექტორს.

სტუდენტის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა მოწონებას იმსახურებს როგორც სტუდენტებში, ისე აკადემიურ პერსონალში, რადგან იგი სტუდენტის უფრო ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა, უსდ-ებს ამ სისტემის დანერგვის პროცესში პრობლემებიც ექმნებათ, კერძოდ, საკმაოდ ხშირია შეფასების კომპონენტების არასწორი დაბალანსების, (წონების არასწორი მინიჭების) შედეგად სტუდენტი კარგავდა ლექციაზე დასწრების ან გამოცდაზე გასვლის მოტივაციას.

მე არაერთხელ მქონია შემეთხვევა, როდესაც სემინარების აქტიური ჩაბარების, დასწრების და აქტივობის შედეგად, ავტომატურად მიმიღია ნიშანი და გამოცდაზე არ გავსულვარ. სტუდენტი

პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

კურიკულუმებისა და ცალკეული საგნების სილაბუსების/ანოტაციების განთავსება უსდ-ს ვებ-გვერდზე ინსტიტუციური აკრედიტაციის მოთხოვნაა. შესაბამისად, ამ წესს ყველა უსდ უნდა იცავდეს, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა. გამოკითხვამ აჩვენა, რომ უსდ-ების 84%-ს გამოქვეყნებული აქვს პროგრამები ვებ-გვერდზე. ამავდროულად, უნივერსიტეტების ვებ-გვერდების ანალიზმა აჩვენა, რომ კურიკულუმების შესახებ ინფორმაციის სისრულის ხარისხი მნიშვნელოვანდ განსხვავდება სასწავლებლების მიხედვით.

აგრეთვე, აკადემიურ პერსონალს ხშირად კარგად არ აქვს გააზრებული სილაბუსის დანიშნულება, ვისთვის იქმნება იგი. გადმოცემის ენა რთულია და ნაკლებად მორგებულია პოტენციურ მკითხველზე - სტუდენტზე, დამსაქმებელზე.

ხარისხის უზრუნველყოფის მუშაობის შიდა შეფასების შედეგების საჯაროობა

ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს, როგორც ერთიან დოკუმენტს, საკუთარ ვებ-გვერდზე უნივერსიტეტები პრაქტიკულად არ აქვეყნებენ. რელევანტური ინფორმაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოებული კვლევების შედეგების შესახებ სხვადასხვა რეგულარობით ქვეყნდება უნივერსიტეტების ვებ-გვერდებზე (ამ მხრივ აღსანიშნავია ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ვებ-გვერდებზე არსებული მონაცემები).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ამჟამად აწარმოებს აკრედიტირებული უსდ-ების შემოწმებას. თვითშეფასების კითხვარი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების საჯაროობის მოთხოვნას. სავარაუდოდ, აკრედიტაციის ცენტრის ეს მოთხოვნა ხელს შეუწყობს უსდ-ების მხრიდან მეტ ღიაობას და მონაცემების რეგულარულ გამოქვეყნებას.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია ხარისხის გარე უზრუნველყოფის ჩატარებაზე. ამჟამად, 2008 წლის ნოემბრის მდგომარეობით განხორციელებულია:

- უსდ–ების ინსტიტუტიცუირი აკრედიტაცია ორ ეტაპად (2006 და 2007 წლებში)
- უმაღლესი პროფესიული პროგრამების პროგრამული აკრედიტაცია – ყველა პროგრამა აკრედიტირებულია
- მიმდინარეობს ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უსდ–ების ყოველწლიური თვითშეფასების ანალიზი – საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 17.11, დეკემბრის ბოლოს (სავარაუდოდ 20–24.12) იგეგმება შედეგების წარდგენა უნივერსიტეტების ეროვნულ კონგრესზე.
- შემუშავებულია ინსტიტუციური აკრედიტაციის ახალი კრიტერიუმები და განხილვის ეტაპზეა
- მზადდება პირობები პროგრამული აკრედიტაციის ჩატარებისათვის რეგულირებად პროგრამებში – სამართალი და განათლება.

> აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს ძალიან საპასუხისმგებლო მისია აქვს - ის უზრუნვეყოფს "საშვს" უმაღესი განათლების ბაზარზე - შესაბამისად, პროცესი უნდა იყოს ძალიან გამჭვირვალე, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება პრობლემები.
> *ექსპერტი*

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს : უსდ-ების თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას, გარე შეფასებას ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შედეგების გამოქვეყნებასა და ჩატარებული საქმიანობის მომდევნო საკონტროლო პროცედურებს.

უნდა აღინიშნოს ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიმდინარეობის წინააღმდეგობრივი ხასიათი – ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლებისა და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი 30 სასამართლო პროცესში გამოდიოდა მოპასუხის როლში და უპირობოდ მოიგო 27 პროცესი, მხოლოდ სამი საქმე იქნა გადაგზავნილი ხელახალ განხილვაზე.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელება ეროვნულ დონეზე

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (www.nea.ge) მუშაობა იმთავითვე ეფუძნებოდა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო

პრინციპებს. აკრედიტაციის ცენტრის ახალი, მისიაზე დაფუძნებული დებულება ამჟამად დასამტკიცებლად არის წარდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და განხილვის ეტაპზეა. გარდა ამისა, მზადდება აკრედიტაციის ცენტრის თვითშეფასების ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპის ქსელში (ENQA) გაწევრიანებისათის. ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობს გერმანელი ექსპერტი, რომელის მუშაობაც ფინანსდება USAID–ის მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში. სავარაუდოდ, თვითშეფასების ანგარიში მზად იქნება ამა წლის 25.11. ეს ანგარიში თან უნდა დაერთოს ENQA–ში გაწევრიანების განაცხადს.

სტუდენტთა მონაწილეობა ხარისხის გარე უზრუნველყოფაში

სტუდენტები ჩართულები არიან ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოების მართვაში. კერძოდ, აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის საბჭოს ცხრა წევრიდან ერთი საქრათველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტია.

სტუდენტი წარმოდგენილია გარე შეფასების ჯგუფში, როგორც ოფიციალური წევრი. შესაბამისად, იგი ჩართულია გარე შეფასების დროს გადაწყვეტილებების მიღებაში, დამკვირვებლის პოზიცია გარე შეფასების ჯგუფში აკრედიტაციის დებულებით გათვალისიწნებული საერთოდ არ არის.

საერთაშირისო მონაწილეობა ხარისხის გარე უზრუნველყოფაში

ამ ეტაპზე საერთაშორისო მონაწილეობა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სისტემაში შეზღუდულია. ამ მხრივ ჯერ-ჯერობით არ არის ჩართულობა არც ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოების მართვაში და არც პროგრამებისა და ინსტიტუტების გარე შეფასების ჯგუფებში.

უცხოელი ექსპერტების მონაწილეობა დაგეგმილია 2009 წლიდან Twining-ის პროექტისა და USAID–ს პროექტის ფარგლებში 2009–2011 წლებში. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპულ რეგისტრში გაწევრიანება დაგეგმილია 2009 წელს.

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო

2007 წლის შემოდგომაზე საქართველოში მომზადდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო. ამჟამად სამუშაო ვერსია განთავსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ჩარჩოს შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

NQF აღწერს ყველა საფეხურს სწავლის შედეგსა და კომპეტენციებზე დაყრდნობით. დოკუმენტი ღიაა განხილვისათვის - გამოქვეყნებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე. (http://mes.gov.ge/upload/editor/file/Boloniis%20Procesi/NQF-%20GE%20-%2005.pdf). გარდა ამისა, დოკუმენტი დაეგზავნა ყველა აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოებს განხილვისათვის. სამწუხაროდ, გამოხმაურება პრაქტიკულად ნულოვანია.

NQF -ის ფორმალური აღიარება, ანუ თვითსერტიფიცირება საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა, რადგანაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის სამედიცინო განათლება. შექმნილია დარგობრივი კომისია, რომელსაც ევალება სამედიცინო განათლების თავისებურებების გათვალისწინებით მისი მოქცევა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში, რაც მოხსნის მისი თვითსერთიფიცირების პრობლემას.

ოფიციალურად ის განხორციელებული არაა, რამდენდაც არ მიუღია ნორმატიული აქტის ფორმა; თუმცა, ბევრი უსდ კურიკულუმების შემუშავებისას მიმართავს NQF-ში მოცემულ კომპეტენციებს.

27-28 ნოემბერს თბილისში ტარდება ბოლონიის სემინარი "კვალიფიკაციების ეროვნული და ევროპული ჩარჩოების შეთავსება: თვითსერტიფიცირების პრინციპები" (Aligning National Against European Qualification Frameworks: the Principles of Self Certification), რომლის მუშაობაშიც ქართველი ექსპერტები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ.

ხარისხების ცნობა/აღიარება და სასწავლო პერიოდი

საქართველოს "კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" ავალდებულებს უსდ-ს სწავლების ყოველი საფეხურის დასრულებისას გასცეს დიპლომის დანართი (მუხლი 46/3).არსებობს მინისტრის შესაბამისი ბრძანება #149 (5.04.2005), რომელიც განსაზღვრავს დიპლომის დანართის ფორმას. ბრძანება და დიპლომის დანართის ნიმუში გამოქვეყნებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mes.gov.ge). უსდ-ების მონაცემებით, ამ ეტაპზე გაიცემა დიპლომის დანართი უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე, ასევე მოკლევადიანი სასწავლო პროგრამებისათვის და მილევადი პროგრამებისათვის.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #149 ბრძანების თანახმად, დიპლომის დანართი უნდა გაიცეს ქართულ და ინგლისურ ენებზე

დიპლომის დანართი გაიცემა უფასოდ. ეროვნული დიპლომის დანართის ფორმატი არ განსხვავდება ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს დიპლომის დანართის ფორმებისაგან.

დიპლომის დანართის როლი კვალიფიკაციების აღიარების პროცესში

დიპლომის დანართი წარმოადგენს ოფიციალურ საფუძველს უცხო ქვეყნის მოქალქეებისათვის კვალიფიკაციების აღიარებისათვის მეორე და მესამე საფეხურზე. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქმის წარმოება საჯარო სამართლის იურიდულ პირებში უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო (ქართულ) ენაზე. შესაბამისად, უცხო ენაზე შესრულებული დიპლომის დანართი წარმოდგენილი უნდა იქნეს დამოწმებულ თარგმანთან ერთად. შესაბამისად, იმ პირებს, რომლებმაც საზღვარგარეთ მიიღეს კვალიფიკაცია და მათი დიპლომის დანართი ფართოდ გავრცელებულ რომელიმე უცხო ენაზეა წარმოდგენილი, მაინც სჭირდებათ დანართის ოფიციალური თარგმანის წარმოდგენა, თუმცა მათ არ სჭირდებათ დამატებითი კვალიფიკაციის შესაბამისობის დასადგენად სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სამწუხაროდ, დიპლომის დანართი ჯერ-ჯერობით არ მუშაობს ეფექტურად, როგორც შრომის ბაზარზე საკომუნიკაციო საშუალება.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის განხორციელება

საქართველოს "კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" განსაზღვრავს კრედიტის ცნებას. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 (5.01.2007) ბრძანება კი დეტალურად განმარტავს კრედიტების დანერგვისა და გამოყენების წესს. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე გადასვლა ქართულ უსდ-ებში ფორსირებული წესით განხორციელდა 2005-2006 წლებში, რადგანაც ECTS არსებობა 2006 წელს ჩატარებული ინსტიტუციური აკრედიტაციის მოთხოვნას წარმოადგენდა. შესაბამისად ამჟამად აკრედიტირებული უსდ-ების 100%-ში დანერგილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა. საქართველოში მოქმედი სისტემა სრულიად თავსებადია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან.

სხვა საკითხია, რამდენად კარგად ესმით პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს ამ სისტემის არსი.

ფოკუს-ჯგუფების შედეგებმა აჩვენა, რომ მაშინ, როდესაც სტუდენტების უმეტესობა მშვენივრად ერკვევა კრედიტების დანიშნულებაში, ზოგ პროფესო-მასწავლებლებს, მიუხედავად არაერთჯერადი ტრენინგისა,

კვლავინდებურად არასწორედ ესმის კრედიტების არსი. ხშირად ეს კრედიტები მხოლოდ ფორმალურად გამოიყენება.

სწავლების მოქნილი (ალტერნატიული) გზები

უსდ-ები არიან ავტონომიურები სწავლების მოქნილი გზების ჩამოყალიბების საკითხში. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მიხედვით (მუხლი43/1ლ), სტუდენტს აქვს უფლება, საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად აირჩიოს და თავად მიიღოს მონაწილოება ინდივიდულაური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში. გამოკითხვის შედეგებით, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები მოქმედებს უსდ-ების 10%-ში, ხოლო არჩევითი საგნები - უსდ-ების 90%-ზე მეტში, არჩევითი მოდულები დაახლოებით 60%-ში. ანუ კურიკულუმის დონეზე სტუდენტს შეუძლია თავად განსაზღვროს სწავლების შინაარსი და პროფილი. ამას ხელს კურიკულუმის მოდულარული და ძირითადი და დამატებითი სპეციალობების (ე.წ. major/minor) სტრუქტურა უწყობს ხელს.

სწავლების ალტერნატიულ გზად შეიძლება განვიხილოთ უმაღლესი პროფესიული პროგრამები, რომლებიც დიპლომირებული სპეციალისტის ხარისხის მინიჭებას გულისხმობს და რომელთა მოცულობა 120-დან 180 კრედიტამდე მერყეობს. უმაღლესი პროფესიული პროგრამები ბაკალავრიატის მოკლე ციკლია და თავსებადია აკადემიურ პროგრამებთან. ჩარიცხვა ხორციელდება გამარტივებული წესით - ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უნარ-ჩვევების ტესტის წარმატებული ჩაბარებით. უმაღლესი პროფესიული პროგრამიდან შესაძლებელია გადასვლა შესაბამის აკადემიურ საბაკალავრო პროგრამაზე სათანადო გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში.

12 უსდ ახორციელებს უმაღლეს პროფესიულ პროგრამებს - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი პროგრამების ფარგლებში ხელს უწყობდა უნივერსიტეტებს ამ პროგრამების შემუშავებაში.

სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფების მაქსიმალური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს შემდეგი პროცედურები:

- უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დონეზე: ერთიანი ეროვნული გამოცდები ეროვნულ უმცირესობათა ენებზე;
- კურიკულუმის სტრუქტურის დონეზე: არჩევითი საგნები (უსდ-ების 90%); (არჩევითი) მოდულები (უსდ-ების 60%); major/minor სტრუქტურა; ინდივიდუალური სასწავლო პროგრამები (უსდ-ების 10%).
- სწავლის დაფინანსების დონეზე: საბანკო სესხები; სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამები

ერთობლივი ხარისხები და პროგრამები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ერთობლივი აკადემიური ხარისხებისა და ერთობლივი პროგრამების საკითხი სერიოზულ მუშაობას მოითხოვს: ბევრ უსდ-ს არასწორედ ესმის თავად ამ ტერმინების მნიშვნელობა, რაზეც მათი მხრიდან დამაზუსტებელი კითხვების შინაარსი მიუთითებს.

ამავდროულად, საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლებნის შესახებ" არ კრძალავს არც ერთობლივი პროგრამების განხორციელებას და არც ერთობლივი აკადემიური ხარისხების მინიჭებას. თუმცა, დეტალური მექანიზმები დამუშავებული არ არის. ექსპერტების აზრით, ეს საკითხი ევროპულ დონეზე საჭიროებს საერთო შეთანხმებას.

მოქმედებს პრინციპი: ის, რაც არ არის აკრძალული - დასაშვებია. მაგრამ პრობლემატურია კონკრეტული მექანიზმების არარსებობა. კერძოდ, გაურკვეველია ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებისას დიპლომის ფორმა - საქართველოში დამტკიცებულია დიპლომის კონკრეტული ფორმა (იხ. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება # 281, 8.06.2005, ცვლილებები 2006 და 2007 წლებში). ანუ, საჭიროა დეტალების დადგენა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება, რათა უნივერსიტეტებს გაუადვილდეს ერთობლივ აკადემიურ ხარისხებზე მუშაობა.

არ არის ცნობილი, რა ტიპის დიპლომი უნდა გაიცეს, ჯერ ევროპელების დონეზეც არ არსებობს შეთანხმება. სამართლებრივად შეზღუდული არ არის, მაგრამ კონკრეტული მექანიზმები შესამუშავებელია. არსებობს ხელისშემშლელი ფაქტორები - დეტალური პროცედურების არარსებობა. საჭიროა ამ საკითხის წამოწევა და ერთობლივი დიპლომის ფორმატზე შეთანხმება. *ექსპერტი*

ერთობლივი პროგრამებისა და ხარისხების კუთხით თანამშრომლობის შემაფერხებელ ძირითად ფაქტორებად უმაღესი სასწავლებლები მიიჩნევენ ფინანსების ნაკლებობას. გარდა ამისა, გამოკითხვამ და მრავალ რესპოდენტთან საუბარმა აჩვენა, რომ ერთობლივი ხარისხების დანერგვას ხელს უშლის ქართული უნივერსიტეტების დაბალი პრესტიჟი, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ შესახებ ინფორმაციის არარსებობა დასავლეთში. შეიმჩნევა ნდობის ნაკლებობა ქართველი პარტნიორების მიმართ ევროპელი კოლეგების მხრიდან, როდესაც საქმე ერთობლივ პროგრამებსა თუ ხარისხებს, და საერთოდ, თანამშრომლობას შეეხება.

ერთობლივი ხარისხები მოქმედებს 12 უსდ-ში (დაახლოებით 20%). უსდ-ების მონაცემების მიხედვით, ამ ეტაპზე აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლების მიერ მითითებული ერთობლივი ხარისხების ჯამური რაოდენობაა 14. ერთობლივი ხარისხები მოქმედებს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ერთობლივი პროგრამების თვალსაზრისით. ერთობლივი პროგრამები მოქმედებს უსდ-ების დაახლოებით 40%-ში, უსდ-ებმა მიუთითეს 51 ერთობლივი პროგრამა, ერთ უსდ-ში ერთობლივი პროგრამების მაქსიმალური რაოდენობაა 10.

ერთობლივი პროგრამების/ხარისხების მიმართულებით ადგილობრივ და უცხოურ უსდ-ებთან თანამშრომლობის ხარისხის საშუალო შეფასება ხუთბალიან შკალაზე არის 1.91 ბაკალავრიატში, 1.98 მაგისტრატურაში და 1.93 დოქტორანტურაში. სურათი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საფეხურების მიხედვით.

ცხრილში #7 მოცემულია დისციპლინები, რომლებშიც მოქმედებს ერთობლივი პროგრამები/ხარისხები:

ცხრილი #7 ერთობლივი პროგრამები/ხარისხები გავრცელებულობის მიხედვით

დისციპლინა	უსდ (რაოდენობა)
ბიზნესი	6
სამართალი	4
ფარმაცია	4
გამოყენებითი ბიოლოგია	3
მედიცინა	3
ევროპისმცოდნეობა, ევროპული კვლევები	2
ამერიკანისტიკა	2

ეკონომიკა	2
გერმანისტიკა	1
ინდუსტრია	1
რომანისტიკა	1
საბანკო საქმე	1
საჰაერო ტრანს ექსპლუატაცია	1
სოც. მუშაკი	1
ფილოსოფია	1

ოფიციალურად, სახელმწიფოს მხრიდან ერთობლივი ხარისხებისა და პროგრამების ფასილიტაციის კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებები არ ტარდება. ექსპერტების აზრით, ეს საკითხი მეტ ყურადღებას საჭიროებს. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტები ჭეშმარიტად "ავტონომიურები" არიან და თავად ცდილობენ უცხოელ პარტნიორებთან ერთად თანამშრომლობას.

სქემაზე #15 მოცემულია მიმდინარე ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ უსდ-ები ერთობლივი ხარისხებისა და პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

სქემა #15 ერთობლივი პროგრამების/ხარისხების დანერგვის ხელშეწყობის ღონისძიებები (უსდ %)



მობილობა

სტუდენტების მობილობა

უსდ-ებს შიგნით, უსდ-ებს შორის და უცხოეთიდან საქართველოში სტუდენტების მოძრაობის მაჩვენებლები იკლებს ბოლო სასწავლო წლის განმავლობაში (ცხრილი #8). შიდა მობილობის მაჩვენებლების კლება შეიძლება დავუკავშიროთ უსდ-ებში მასშტაბური სარეორგანიზაციო პროცესების დასრულებას. უმნიშვნელოდ იმატებს უხცოეთში გადასული სტუდენტების რაოდენობა, როგორც სტუდენტების რაოდენობის თვალსაზრისით, ისე იმ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით, რომლებშიც ხორციელდება გარე მობილობა. გარე მობილობის ჯამური მაჩვენებელი (სტუდენტების ჯამური რაოდენობა), ძირითადად, განპირობებულია რამდენიმე მსხვილი უმაღლესი სასწავლებლით.

ცხრილი #8 სტუდენტთა შიდა და გარე მობილობა

	არის	არ არის	მაქსიმუმი	ჯამი	მედიანა	საშუალო	სტ.გადახრა
უსდ-ს შიგნით 2007-2008	55%	45%	1198	1800	1	36	170.7
უსდ-ს შიგნით 2008-2009	53%	47%	109	448	1	8.8	20.5
უსდ-ებს შორის 2007-2008	80%	20%	835	2824	15	55.4	141.8
უსდ-ებს შორის 2008-2009	85%	15%	505	1795	12	35.2	85.5
უცხოეთიდან გადმოსული 2007-2008	16%	84%	29	41	0	0.8	4.1
უცხოეთიდან გადმოსული 2008-2009	10%	90%	2	8	0	0.2	0.5
უცხოეთში გადასული 2007-2008	12%	88%	4	9	0	0.2	0.6
უცხოეთში გადასული 2008-2009	16%	84%	10	27	0	0.5	1.7

სტუდენტთა გარე მობილობა უფრო ხშირია კერძო უმაღლეს სასწავლებლებში (სქემა #16)

სქემა #16 სტუდენტთა გარე მობილობა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების მიხედვით.



შიდა მობილობის მაჩვენებლების (ცხრილი #9) მიხედვით, განცხადებების რაოდენობები ჭარბობდა 10 მიმართულებაში. მაჩვენებლები გაფანტულია მედიცინის, ფარმაციისა და სამართლის მიმართულებით. ანუ, კონკურსის სიდიდე ამ მიმართულებებით დამოკიდებული იყო კონკრეტულ უსდ-ზე.

ცხრილი #9 ვაკანსიები დარგების მიხედვით:

დარგი	საშუალო ფარდობა განაცხადები /ვაკანსიები	N	სტ.გადახრა	მინიმუმი	მაქსიმუმი
დრამის რეჟისურა	5.0	1		5	5
ფარმაცია	3.2	2	4.02	0.31	6

მედიცინა	2.8	7	3.25	0.17	9.6
არქიტექტურა	2.1	1		2.1	2.1
იურიდიული	2.1	1		2.1	2.1
სოც.მეცნიერებები	1.9	3	0.95	0.9	2.8
სამართალი	1.3	8	1.61	0.3	5
ამერიკანისტიკა	1.2	1		1.2	1.2
ხელოვნება	1.1	7	0.70	0.2	2
ბიზნესი	1.0	14	0.68	0.2	2.7
ჰუმანიტარული	0.9	6	0.77	0.12	2
საფინანსო საბანკო და სადაზღვევო საქმე	0.8	3	0.45	0.4	1.3
საზღვაო საინჟინრო	0.7	1		0.7	0.7
სასოფლო–სამეურნეო და სატყეო საქმე	0.6	9	0.39	0.03	0.9
საინფორმაციო ტექნოლოგიები	0.4	2	0	0.44	0.44
ენები	0.3	2	0.30	0.12	0.55
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	0.3	5	0.17	0.17	0.6
პედაგოგიური	0.3	3	0.46	0	0.8
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი	0.3	2	0.21	0.1	0.4

აკადემიური პერსონალის მობილობა

აკადემიური პერსონალის გარე მობილობის მაჩვენებლები, აგრეთვე, იკლებს ბოლო წლის განმავლობაში. გაიზარდა იმ უსდ-ების რიცხვი, რომლებიც იწვევს აკადემიურ პერსონალს უცხოეთიდან. უცხოეთში კვლევის ან სწავლების მიზნით აკადემიური პერსონალის მიწვევა ხდება უსდ-ების დაახლოებით მეხუთედიდან (ცხრილი #10).

ცხრილი#10 აკადემიური პერსონალის მობილობა

	არ არის	არის	მინიმუმი	მაქსიმუმი	ჯამი	საშუალო	სტ.გადახრა
უხოური უსდ-დან მოწვეული (2007-2008)	65%	35%	0	58	133	3	8.5
უხოური უსდ-დან მოწვეული (2008-2009)	60%	40%	0	39	88	2	5.7
უცხოურ უსდ-ში მიწვეული (2007-2008)	73%	27%	0	52	96	2	7.4
უცხოურ უსდ-ში მიწვეული (2008-2009)	82%	18%	0	18	38	1	2.7

უცხოეთიდან აკადემიური პერსონალის მოწვევა დაახლოებით თანაბრად ხდება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უსდ-ებში, უცხოეთში აკადემიური პერსონალის მიწვევა, ძირითადად, ხდება სახელმწიფო უსდ-ებიდან (სქემა #17).

ფოკუს ჯგუფებში პროფესორები აღნიშნავდნენ, რომ სწორედ აკადემიური პერსონალის გარე მობილობის ხელშემშლელი ფაქტორი ხშირად უცხო ენის ცუდი ცოდნაა. სტუდენტებს ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა და შესაბამისად, გარე მობილობის მეტი შანსები აქვთ.

სქემა #17 აკადემიური პერსონალის გარე მობილობა კერძო და სახელმწიფო უსდ-ების მიხედვით



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით მომზადდა წერილი, რომლითაც საქართველოს მთავრობა მიმართავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ვიზების გამარტივების საკითხთან დაკავშირებით. საქართველოში ევროპელი სტუდენტებისა და პროფესორების ჩამოსვლისათვის სავიზო პრობლემები არ არსებობს. ევროკავშირის მოქალაქეებისათვის მოქმედებს უვიზო რეჟიმი.

უსდ-ების 65% იღებს გარკვეულ ზომებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გარე მობილობის ხელშეწყობისათვის. ყველა უსდ აღიარებს საზღვარგარეთ გატარებულ სასწავლო პერიოდს. საზღვარგარეთ გატარებული პერიოდის აღიარება, ანუ იქ დაგროვილი კრედიტების ჩათვლა, ადგილობრივი უნივერსიტეტის პრეროგატივაა, მას შემდეგ, რაც სწავლის პერიოდის ავთენტურობას დაადასტურებს ENIC-NARIC-ის სამსახური. წამყვან უსდ-ებს აქვთ შემუშავებული შესაბამისი პროცედურები.

ფინანსურ დახმარებას სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს უწევს 60%, საცხოვრებელს ფართს გამოყოფს 30%. გარე მობილობის ხელშემწყობი სხვა ფორმებიდან უსდ-ებმა აღნიშნეს: სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ინფორმირება მობილობის შესახებ, უცხო ენის გაძლიერებული სწავლება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები; სტუდენტთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, უმაღესი სასწავლებლების საერთაშორისო ქსელებში გაერთიანება.

დისციპლინები

უსდ-ებმა ჩამოთვალეს დისციპლინები, რომელთა ფარგლებში ხდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოძრაობა საზღვარგარეთ.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა ხორციელდება მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფარმაციის, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების, იურისპურდენციისა და ბიზნესის, რომანისტიკის, კონსერვაციული ბიოლოგიის, ეკოლოგიის მიმართულებით. მხოლოდ აკადემიური პერსონალის მობილობის კუთხით უსდ-ებმა მიუთითეს პედაგოგიკა, კავკასიოლოგია, ისტორია, ბიოქიმია და ფსიქოლოგია.

გარე მობილობის დაფინანსება

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობა (როგორც ქართველების გასვლა, ასევე უცხოელების შემოსვლა), როგორც წესი, ან თვითდაფინანსებით, ან რომელიმე უცხოური დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით ხორციელდება. უცხოეთში სწავლის დაფინანსების ყველაზე გავრცელებული ფორმაა თვითდაფნანსება (სქემა #18)

სქემა#18 საზღვარგარეთ სწავლის დაფინანსების წყაროები გავრცელებულობის მიხედვით (ყველა უსდ %)



დონორი ორგანიზაციები/პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მიემგზავრება საზღვარგარეთ სწავლის ან სწავლების მიზნით

- Junior Faculty Development Program (JFDP)
- Bureau of Educational and Cultural Affairs (ECA) of the U.S. Department of State
- WHO
- „ერაზმუს მუნდუსი“ (LOT 5)
- ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო”
- საქართველო“ FDF პროგრამა
- აირიშ ეიდი
- TEMPUS
- DAAD

- ფულბრაიტის ფონდი
- ფოლკსვაგენის ფონდი
- თურინგიის ფედერაციული მხარე (გერმანია)
- იენის უნივერსიტეტი
- ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტის დოქტორნატთა სკოლა
- ZBA
- IREX
- NED - დემოკრატიის ეროვნული ფონდი.
- ბრიტანეთის საბჭო
- ჰუმბოლდტის ფონდი
- ამერიკული საბჭოები
- ონასისის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
- კოსტოპულუს ფონდი
- საბერძნეთის მეცნიერებათა აკადემიის კოსტის და ელენი ურანისის ფონდი
- ევროკომისიის პროექტი (TACIS): ,,ევროპული კვლევების ინსტიტუტი“
- საერთაშორისო განათლების ცენტრი
- გაეროს განვითარების პროგრამა
- მსოფლიო ბანკის პროექტი: ,,საერთაშორისო ეკონომიკის სკოლა“
- USAID

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის განვითარებისა და რეფორმების ფონდის მიერ განხორციელებული პროგრამა - მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში, რომელიც 2005 წელს დაიწყო. 2005-2007 სასწავლო წლებში 160 ქართველი მაგისტრანტის სწავლა დაფინანსდა. 2007 წელს ამ მიზნით გამოიყო 2 მილიონი ლარი. ეს პროგრამა ძირითადად მოიცავს სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, არქიტექტურის, ურბანული მენეჯმენტის, მედიისა და კომუნიკაციის და სახელმწიფო მართვის მიმართულებებს (წყარო: www.drf.org.ge).

2008 წლიდან, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ადგილობრივ ბანკებთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო საზღვარგარეთ სამაგისტრო სპეციალობებზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის სესხების სუბსიდირება. სესხები გაიცემა უზრუნველყოფის გარეშე, 3 წლიანი საშეღავათო

პერიოდით, 10 წლის ვადით და 9%-იანი საპროცენტო განაკვეთში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სწავლის გაგრძელება ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე შეძლო 60-მა სტუდენტმა ძირითადად ბიზნეს ადმინისტრაციის, ფინანსების და სამართლის მიმართულებით. პროგრამის წლიური ბიუჯეტი 6 მილიონ ლარს შეადგენდა. აქედან 3 მილიონი ლარი განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტიდან, მეორე ნახევარი კი ბანკებიდან იყო გათვალისწინებული. 6 თვიანი ოპერირების განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 2,5 მილიონი ლარი. პროგრამის ფარგლებში სესხი გაიცა 60 სტუდენტზე.

აშშ-ს საელჩო საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად იწყებს სამწლიან პროგრამას 2009 წლიდან, რომლის ერთ-ერთი პუნქტია პოსტ-დოქტორების გამგზავრება აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში კვლევითი სამუშაოს განხორციელების მიზნით. ამ პროგრამას ნაწილობრივ თანა-დააფინანსებს საქართველოს მთავრობა, საერთო წლიური ბიუჯეტი: 100 000 $.

გრანტებისა და სესხების მობილობა

საქართველოში ამ ეტაპზე მოქმედებს გრანტებისა და სესხების მხოლოდ შიდა მობილობა. საქართველოში მოქმდებს ფორმულა: "ფული თან სდევს სტუდენტს". საერთაშორისო მასშტაბით გრანტის გადატანის შემთხვევები დაფიქსირებული არ არის.

გრანტებისა და სესხების შიდა მობილობის ფასილიტაციის კუთხით სახელმწიფო დონეზე ჯერ-ჯერობით არავითარი კონკრეტული ზომები მიღებული არ ყოფილა. ქვეყნის შიგნით მობილობისას სტუდენტს შეუძლია ბანკთან ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე თან "გადაიტანოს" სესხი. საერთაშორისო მობილობისას სესხის გადატანის შემთხვევები ცნობილი არ არის.

სწავლის წინა პერიოდში დაგროვილი კრედიტების აღიარება

საქართველოში მოქმედებს უმაღლეს განათლებაზე დაშვების საერთო პრინციპი - ერთიანი ეროვნული გამოცდები. უსდ-დან ამა თუ იმ მიზეზით სტუდენტის გარიცხვის შემთხვევაში, თუ მას სურს სასწავლო ადგილის აღდგენა, მან განმეორებით უნდა გაიაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #120 (16.02.2007) ბრძანების მიხედვით "პირის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვამდე დაგროვილი იმ უმაღლესი საგანმათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებულად ითვლება, შეიძლება აღიარებულ იქნეს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რომელშიც პირი აგრძელებს ან იწყებს სწავლას".

სტუდენტების მობილობა უნივერსიტეტებს შორის ამ წესებზე დაყრდნობით ხორციელდება. უნივერსიტეტებს აქვს საკუთარი პროცედურები, რომლებიც ადგენენ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების თავსებადობას კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და შესაბამისად, მის მიერ დაგროვილი კრედიტების აღიარებას.

ბოლონიის პროცესის სოციალური განზომილება

საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში საზოგადოების ყველა ფენაა წარმოდგენილი - იგულისხმება როგორც ეროვნული შემადგენლობა, ასევე გეოგრაფიული წარმომადგენლობა და გენდერული სტრუქტურა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ (2005) ფაქტიურად გამორიცხა კორუფციის, როგორც შემაფერხებელი ფაქტორის გავლენა უმაღლესი განათლების ხელმისაწვომობაზე. 2005 წელსვე გაუქმდა ფორმალურად უფასო უმაღლესი განათლება და ამავე წლიდან ამუშავდა მერიტოკრატიული და სოციალური გრანტების პროგრამა. ორივე მათგანი უსდ-ში სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას ითვალისწინებს. საგულისხმოა ის, რომ გრანტები გაიცება კერძო უსდ-ში სწავლის გაგრძელების მსურველებზეც. ანუ, საქართველოს განათლების სისტემაში დანერგილი ვაუჩერული დაფინანსების სისტემა უმაღლეს განათლებაზეც იქნა მორგებული. 2005 წლიდან მერიტოკრატიული გრანტები სრულად აფინანსებდა სახელმწიფო უსდ-ში სწავლის გადასახადს. 2006 წლიდან მოხდა გრანტების დივერსიფიკაცია 100%, 70%, 50% და 30%-იან გრანტებად, რაც, შესაბამისად გულისხმობს ჩამოთვლილი პროცენტის დაფარვას სწავლის გადასახადიდან სახელმწიფოს მიერ.

წელი	განცხადებების რაოდენობა	ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა	გრანტის მიმღებ სტუდენტთა რაოდენობა	უმაღლესი განათლების გრანტებზე სახელმწიფოს დანახარჯები
2005	31.171	16.507 (53%)	4188 (25%)	GEL 6 400 000 (დაახლოებით USD 3,250,000)
2006	32.791	19.479 (59%)	8273 (42%)	GEL 6 500 000 (დაახლოებით USD 3,420,000)
2007	39.278	15.444	7881	GEL 6 500 000 (დაახლოებითUSD 3,420,000)

გარდა ამისა, სახელმწიფო სოციალური გრანტები გაიცემა მაღალმთიანი რეგიონების, კონფლიქტის რეგიონების, უმცერესობების წარმომადგენელთათვის, ომში დაღუპულთა შვილებისა და დევნილთათვის. სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის დახმარება ხორციელდება, ძირითადად, ბაკალვრიატის დონეზე. თუმცა, კონფლიქტის ზონიდან დევნილი და იქ მცხოვრები მოსახლეობის შემთხვევაში, სახლემწიფო დახმარება ვრცელდება სამივე საფეხურის სტუდენტებზე. სოციალური პროგრამების ძირითადი წყაროებია განათლებსა და მეცნიერების სამინისტრო, მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამოქალაქო სამსახური, საბანკო სისტემა, უნივერსიტეტის შიდა რესურსები და სტუდენტური თვითმმართველობა. სხვადასხვა სოციალური პროგრამების ბენეფიციარების რაოდენობაა 1868 (სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 4%). თუმცა, ეს ციფრი შეიძლება სჭარბობდეს ბენეფიციარი სტუდენტების რეალურ რაოდენობას, რადგან ერთი სტუდენტი შეიძლება სარგებლობდეს რამდენიმე პროგრამით.

2006 წლიდან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ადგილობრივ ბანკებთან აქტიური დიალოგის წარმოების შედეგად, ადგილობრივმა ბანკებმა დაიწყეს სტუდენტური სესხების გაცემა. სესხები გაიცემა 14%-18%-ში. 2007 წელს ხუთი ბანკის მიერ სტუდენტური სესხი გაიცა 5,500 სტუდენტზე და სესხების ჯამმა 6 მილიონი ლარი შეადგინა.

2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თანხები, რომლებიც განკუთვნილია სტუდენტთა ვაუჩერებზე ბაკალავრიატისა და სტიპენდიებზე სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე (მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სახელმწიფო სტიპენდიები) სამწუხაროდ, რუსული ინტერვენციის შედეგად წარმოქმნილი ახალი საჭიროებების გამო, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სახელმწიფო დაფინანსების შემოღება გადაიდო შემდგომი წლებისთვის.

ეროვნული უმცირესობები წარმოდგენილნი არიან უმაღლესი სასწავლებლების 90%-ში. სტუდენტების საერთო რაოდენობაში მათი წილი საშუალოდ შეადგენს 4,3 %-ს, მხოლოდ ორ უსდ-ში უმცირესობების წილი აღემატება 10%-ს. სურათი არ განსხვავდება კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების მიხედვით.

ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების ინტერესებს - საგამოცდო ტესტები არსებობს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენაზე - რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად და აფხაზურად.

სტუდენტთა ფინანსური დავალიანების პრობლემას უსდ-ები ახასათებენ, როგორც საშუალო სიმწვავის (საშუალო ქულა 2.8 ხუთბალიან შკალაზე, სტანდარტული გადახრა 1.5.) უმაღლესი სასწავლებლების ნახევარს საერთოდ არ ჰყავს გარიცხული სტუდენტები დავალიანების გამო, გარიცხულების პროცენტი სტუდენტების მთლიან რაოდენობაში მერყეობს 5%-მდე, საშუალო პროცენტია 3%. მხოლოდ ერთი უსდ-ს შემთხვევაში გარიცხული სტუდენტები შეადგენენ სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 26 %-ს (ზუგდიდის მესხიას სახ. სახელმწიფო ინსტიტუტი).

რიგ შემთხვევებში აბიტურიენტები იძულებულნი არიან ამოარჩიონ ნაკლებად სასურველი უსდ მხოლოდ სწავლის უფრო ხელმისაწვდომი საფასურის გამო. ამავდროულად, სახელმწიფოში განვითარდა საბანკო სესხების სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის პერიოდის დაფინანსებას.

II. ბოლონიის პროცესის პრინციპების განხორციელების პერსპექტივები საქართველოში

კითხვა საქართველოში ბოლონიის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ ყველა რესპოდენტს დაესვა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სტატუსისა თუ გამოცდილებისა (სტუდენტი vs. პროფესორი, სამინისტროს წარმომადგენელი თუ დამოუკიდებელი ექსპერტი), პრობლემებთან დაკავშირებული პასუხები ერთმანეთის მსგავსი იყო. გარკვეული განსხვავება აღინიშნებოდა სამომავლო პერსპექტივების დასახვის შემთხვევაში.

ბოლონიის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს:

1. რეფორმის განხორციელებისათვის გამოყოფილი მცირე დრო და, შესაბამისად, ბოლონიის პროცესის პრინციპების დანერგვის ძალიან სწრაფი ტემპი - საქართველო ოფიციალურად ბოლონიის პროცესის ნაწილი 2005 წლის მაისში გახდა (თუმცა ბოლონიის პროცესის ძირითადი მოთხოვნები უკვე მანამდე იყო ასახული კანონში უმაღლესი განათლების შესახებ - 12.2004). ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენ გვიან დავიწყეთ და ბევრად უფრო მძიმე სასტარტო პირობებით, მიზნების მიღწევის ვადები კი ყველასათვის საერთოა - 2010 წელი.

2. ბოლონიის პროცესის არსის გააზრება და გათავისება ყველა მონაწილის მიერ არ მომხდარა - დღესაც ბევრს საკმაოდ ზოგადი ინფორმაცია აქვს იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს ეს პროცესი. ანუ პროცესის ბევრ უშუალო მონაწილეს, მაგალითად უნივერსიტეტების პროფესორებს, არ ესმით მთავარი მიზანი, არსი, თუმცა ფლობენ მეთოდებს, მაგ. კრედიტების სისტემის დანერგვა, მაგრამ ამას ფორმალურად ახორციელებენ. ბევრი ბოლონიის პროცესის განხორციელებას აკავშირებს რეფორმის ისეთ მტკივნეულ ასპექტებთან, როგორიც იყო უნივერსიტეტების პერსონალის შემცირება. აშკარაა ინფორმაციის ნაკლებობა ან მისი არასწორი გააზრება - რეფორმისადმი მიდგომა ცალსახად იმპერატიულია: გადაწყვეტილებებს ზევით, ოფიციალურ სრუქტურებში იღებენ, მაშინ როდესაც მასების დონეზე ჯერ კიდევ ძალიან ბევრია სამუშაო.

ბოლონიის პრინციპების განხორციელების კონტექსტში უმნიშვნელოვანეს მიღწევად ამ ეტაპზე შიძლება ჩაითვალოს კარგი ნორმატიული ბაზის არსებობა მოქმედების დასაწყებად: კანონმდებლობა არსებობს, დროა დავიწყოთ მისი განხორციელება

ექსპერტი

საჭიროა გაცნობიერდეს, რატომ ვირჩევთ ამ გზას. შემდეგ უნდა დაისახოს გარკვეული ჩარჩო კულტურულ კონტექსტში და მოერგოს სხვადასხვა სფეროებს.

სტუდენტი

როდესაც დასახეს მიზანი, რომ 2010 წლისათვის მიღწეული უნდა იყოს რაღაც შედეგი ბოლონიის პროცესის ფარგლებში, საჭირო იყო ცალკეულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის უფრო საფუძვლიანი შესწავლა და იმის გაგება, თუ რამდენად რეალისტურია ეს მიზნები ამ ქვეყნებისათვის.

პროფესორი

3. რესურსების ნაკლებობა - როგორც ფინანსური, ასევე ინტელექტუალური. განსაკუთრებით ექსპერტები აღნიშნავდნენ განათლების მენეჯერების ნაკლებობას, რომლებმაც უნდა იტვირთონ უშუალოდ უნივერსიტეტებში რეფორმის განხორციელება. ფინანსური რესურსების ნაკლებობა კი ხელს უწყობს არაკონკურენტული გარემოს შექმნას - უნივერსიტეტებს უჭირთ მაღალი კლასის სპეციალისტების მოზიდვა, რაც შესაბამისად აისახება სწავლებისა და კველევბის ხარისხზე.

4. ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ და როგორც შედეგი, ნდობის სიმცირე დასავლელი კოლეგების მხრიდან, როდესაც საქმე კოოპერაციას ეხება.

5. სოციალური პარტნიორების ჩართულობის დაბალი ხარისხი; აკადემიურ და პროფესიულ სამყაროებს შორის ნაპრალის არსებობა; ჰორიზონტალური კავშირების ნაკლებობა უნივერსიტეტებს შორის.

საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგამი "ევროპული უმაღლესი განათლება გლობალურ კონტექსტში" სტრატეგიის განხორციელებისათვის. დაგეგმილი იყო 'საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიის" შემუშავება - მუშაობა უნდა დაწყებულიყო ამა წლის სექტემბერში, მაგრამ აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამო, მოხდა დაფინანსების შეზღუდვა და სამუშაო ამ მიმართულებით არც დაწყებულა - გადაიდო 2009 წლისათვის.

ბოლონიის პროცესის განხორციელების პერსპექტივები საქართველოში:

მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრიორიტეტების არსებობისა და სწორად დაგეგმილი სამოქმედო გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ბოლონიის პრინციპების რეალური განხორციელება საქართველოში სავსებით შესაძლებელია. წარმატების წინაპირობა, აუცილებელი ფინანსური რესურსების გარდა, ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობაა. იგულისხმება არა ფორმალურად ინფორმაციის მიწოდება მოთხოვნების სახით, არამედ მისი რეალური გააზრება.

რესპოდენტებმა ბოლონიის პრინციპების მიხედვით წარმატებული რეფორმის განხორციელებისათვის სამომავლოდ შემდეგი ასპექტები გამოყვეს:

1. განათლების საერთო სტრატეგიის შემუშავება და ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირების მკაფიოდ განსაზღვრა;

2. ინტენსიური თანამშრომლობა ევროპელ კოლეგებთან: პროცესების ინტერნაციონალიზაცია, კერძოდ:

    - საგანმანათლებლო პროცესში უცხოელი პროფესორების მონაწილეობის ხარისხის გაზრდა,
    - ერთობლივი პროგრამების შემუშავება
    - ერთობლივი კველვითი პროექტების განხორციელება

- ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობა
- როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორების ორმხრივი მობილობის გაზრდა

3. პროგრამული აკრედიტაცია, როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების გარანტი.

III. ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

2005 წლიდან დღემდე მიღწეულია სერიოზული პროგრესი ევროპული სტანდარტების შესაბამისად უმაღლესი განათლების რეფორმის საქმეში.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური კუთხით საქართველოში ბოლონიის პრინციპების განხორციელება წარმატებულად მიმდინარეობს: ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად, არსებული კანონმდებლობა ქმნის **მყარ იურიდიულ საფუძველს** ბოლონიის პროცესის ყველა ძირითადი მოთხოვნის განხორციელებისათვის: ყველა უმაღესში მოქმედებს სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა, სტუდენტის სასწავლო დატვირთვის გაანგარიშება კრედიტებით ხდება ყველა უსდ-ში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე და უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში დოქტორანტურის დონეზე, გაიცემა დიპლომის დანართი, ფორმალურ დონეზე დახვეწას საჭიროებს მხოლოდ **ერთობლივი აკადემიური ხარისხების** მინიჭების დეტალური მექანიზმები და **სწავლის პერიოდების აღიარების** პროცედურები.

ამავდროულად გამოიკვეთა პრობლემები ბოლონიის პრინციპების რეალური ამოქმედების კუთხით: უნივერსიტეტები ასრულებენ მოთხოვნებს, ნერგავენ ახალ მექანიზმებს, მაგრამ არ/ან იშვიათად ხდება პროცესების გააზრება, ყოველ შემთხვევაში მონაწილეთა დიდ უმრავლესობას არ ესმის, რას და რატომ აკეთებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბოლონიის პრინციპებით განსაზღვრული პროცედურები ხორციელდება მხოლოდ იმიტომ, რომ ინსტიტუციური აკრედიტაციის დროს ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უმაღლესი საგანმანათებლო დაწესებულებებისათვის. გარეგნული მხარე, ფორმალური წესები დაცულია, მაგრამ პროცესი მოკლებულია **შინაარსობრივ გააზრებას და ხარისხის რეალურ კონტროლს**.

- საჭიროა გაიზარდოს უნივერსიტეტების **ავტონომიურება** ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავებისა და განოხრციელების პროცესში. ამ ეტაპზე ისინი ძირითადად დამოკიდებულნი არიან სამინისტროზე. პროცესი ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს ზევიდან-ქვევით. ხარისხის გარე აკრედიტაციის პროცესში უნდა გაიზარდოს სოციალური პარტნიორებისა და სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობა.

- ამ ეტაპზე ნაკლებად ქმედითია სტუდენტთა თვითმმართველობა, არ არსებობს რექტორთა და პროფესორთა ასოციაციები, არ მიმდინარეობს დიალოგი უმაღლეს სასწავლებლებს შორის, საქართველოში ჯერ-ჯერობით ცუდად მუშაობს ე.წ. peer review მექანიზმი. საჭიროა რეალურად ამოქმედდეს **ჰორიზონტალური კავშირები**, გაიზარდოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნას პროცესის გამჭვირვალობა.

- სასწავლო პროგრამები რეალურად არ ასახავს ბაზრის საჭიროებებს - ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ მიმდინარეობს ეფექტური დიალოგი პროფესიულ სფეროსთან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ თავად პროფესიულ სფეროს არ შეუძია მკაფიოდ ჩამოყალიბოს საკუთარი საჭიროებები. საჭიროა გაღრმავდეს **კავშირი აკადემიურ და პროფესიულ სფეროებს შორის** ამ მიმართულებით.

- ამ ეტაპზე ძალიან დაბალია **გარე მობილობის** მაჩვენებლები (განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის კუთხით) და ამ მხრივ შეიმჩნევა მაჩვენებლების კლების ტენდენცია. სასურველია, დაიხვეწოს ერთობლივი პროგრამებისა და **ერთობლივი აკადემიური ხარისხების** მინიჭების დეტალური მექანიზმები და **სწავლის პერიოდების აღიარების** პროცედურები.

- არ არის გამოკვეთილი მკაფიო **კარიერული ხაზები** - უმაღლესი სასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ პოტენციურ სტუდენტებთან ამ კუთხით; აბიტურიენტი არ ფლობს ინფორმაციას პროგრამებისა და შესაძლო დასაქმების სქემების შესახებ და შედეგად ვიღებთ სტუდენტების კონცენტრაციას ერთი ან ორი ძირთადი მიმართულებით.

- უსდ-ებს ჯერ-ჯერობით მკაფიოდ არ აქვთ ჩამოყალიბებული საკუთრი **მისია და ხედვა.** მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს უნივერსიტეტების **კვლევითი პოტენციალი.** ამ ეტაპზე რეალურად დაფინანსებული კვლევის არსებობა არ წარმოადგენს დოქტორანტურაში მიღების წინაპირობას თითქმის ყველა უსდ-ში. კვლევაზე დაფუძნებული სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა შეიძლება გარე ბერკეტებით, მაგალითად ეროვნული სამეცნიერო ფონდების მიერ გრანტების გაცემის სტრატეგიაში გარკვეული წამახალისებელი მექანიზმების შეტანით კომპლექსური კვლევითი პროექტებისათვის, რომლებსაც დაეფუძნება სადოქტორო პროგრამები.

- მნიშნველოვანი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ხარისხის გაუმჯობესების კუთხით პროცესის **ინტერნაციონალიზაციაზე** (როგორც უსდ-ების ისე ეროვნულ დონეზე). ამ ეტაპზე საქართველოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს აკრედიტაციის ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელში (ENQA) გაწევრიანება. უცხოელი ექსპერტების ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემაში (უსდ-ების დონეზე) აგრეთვე მნიშვნელოვნად გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას და აამაღლებს ნდობას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ.

- რეფორმის მიმდინარეობა რთულია კარგად გააზრებული და ყველა მონაწილე მხარის მიერ გაცნობირებული სტრატეგიის გარეშე. არ ჩანს მკაფიო ორიენტირები, დეკლარირებული მიზნები. როგორც ცალკეულ უნივერსიტეტებს არ აქვთ კარგად გაცნობიერებული საკუთარი მისია, ასევე ქვეყნის დონეზე არაა ცნობილი რა არის უმაღლესი განათლების განვითარების მთავარი პრიორიტეტები, ეტაპები. ეს აისახება როგორც რეგულარულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და დამატებებში, ასევე განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტზე.

საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგამი "ევროპული უმაღლესი განათლება გლობალურ კონტექსტში" სტრატეგიის განხორციელებისათვის. დაგეგმილი იყო 'საერთაშორისო თანამშრომლობის სტრატეგიის" შემუშავება - მუშაობა უნდა დაწყებულიყო ამა წლის სექტემბერში, მაგრამ აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამო მოხდა დაფინანსების შზღუდვა და სამუშაო ამ მიმართულებით არც დაწყებულა - გადაიდო 2009 წლისათვის. **უმაღლესი განათლების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგიის** არსებობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეფორმის ეფექტურად განხორციელებას.

დანართები

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე უმაღესი სასწავლებლების სია

#	უსდ	აკადემიური პერსონალი	სტუდენტი
1	ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი	+	+
2	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	+	-
3	ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნუვერსიტეტი	+	-
4	კონსერვატორია	+	+
5	ბათუმის საზღვაო აკადემია	+	+
6	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	+	+
7	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	+	+
8	წნორის კოლეჯი	+	+
9	გორის უნივერსიტეტი	+	+
10	ბიზნეს სკოლა “იესემი”	+	+
11	უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”	+	+
12	რუსთავის საერო ინსტიტუტი ”რვალი”	+	+

ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეთა სია

1. **ნოდარ სურგულაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
2. **ნინო ჩუბინიძე** - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორი
3. **მაია ადვაძე** - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი, ევროინტეგრაციისა და მობილობის სამმართველოს უფროსი
4. **ლელა მაისურაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების სფეროს ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის სამმრთველოს უფროსი
5. **ლალი ბაქრაძე** - საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროექტის ექსპერტი
6. **ირმა რატიანი** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შოთა რუსთაველის ქარული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი
7. **ირინე ხანთაძე** - კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრის დირექტორი, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის თავმჯდომარე
8. **მარინე ქარჩავა** - შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პრორექტორი
9. **ლელა ქელბაქიანი** - შპს ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის რექტორი
10. **ოლივერ რაისნერი** - ევროპის კომისიის დელეგაცია საქართველოში, პროგრამის მენეჯერი
11. **გია შარვაშიძე** - აკადემიური სტიპენდიების პროგრამის დირექტორი, უმაღლესი განათლების მხარდაჭერის საერთაშორისო პროგრამა, ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI/HESP)

განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი

კითხვარი უმაღლესი სასწავლებლებისათვის

განათლების პოლიტიკის, მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაკვეთით ახორციელებს კვლევას, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმის შეფასება.

კვლევაში ჩართულია საქართველოში აკრედიტირებული ყველა უმაღლესი სასწავლებელი. კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელია უმაღესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ან მოვალეობის შემსრულებელი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შევსებული კითხვარები 18 ოქტომბრამდე ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე:

machabeli@eppm.org.ge

თბილისი, ბარნოვის ქ. 56, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი

ტელ: 914933

საკონტაქტო პირი : ნათია იაშვილი

გმადლობთ, რომ დაგვთანხმდით გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე. კითხვარზე მუშაობის პროცესში შეგიძლიათ მოგვმართოთ კითხვებით ზემოთ მითითებულ ტელეფონზე.

სექცია I – ზოგადი ინფორმაცია

სახელი და გვარი	
თანამდებობა	
საკონტაქტო ტელეფონი	
უმაღლესი სასწავლებლის სრული დასახელება	

1.1 აკადემიური პერსონალის რაოდენობა

სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მეცნ. თანამშრომელი	სულ:

1.2 გაქვთ თუ არა მილევად რეჟიმში ძველი (ერთსაფეხურიანი) საგანმანათლებლო პროგრამები? (აღნიშნეთ)

1 დიახ
2 არა *გადადით კითხვაზე I.4*

1.3 როდის გადადიხართ სრულად ახალ რეჟიმზე (მრავალსაფეხურიანი სწავლება) (მიუთითეთ სასწ. წელი)

1.4 აღნიშნული სწავლების საფეხურებიდან რომელი არის წარმოდგენილი თქვენს სასწავლებელში? (არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ სტუდენტების რაოდენობა)

ბაკალავრიატი	დიახ არა	სტუდენტების რაოდენობა	----------
უმაღლესი პროფესიული პროგრამები	დიახ არა	სტუდენტების რაოდენობა	----------
ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამები	დიახ არა	სტუდენტების რაოდენობა	----------
მაგისტრატურა	დიახ არა	სტუდენტების რაოდენობა *(გადადით სექციაზე* C)	----------
დოქტორანტურა	დიახ არა	სტუდენტების რაოდენობა *(გადადით სექციაზე B)*	----------

1.5 ბაკალავრიატის სტუდენტების გამოშვება 2006-2007 წელს (მიუთითეთ რაოდენობა) ----------

სექცია A – დოქტორანტურა

A1. არის თუ არა თქვენს სასწავლებელში განსაზღვრული დოქტორანტურაში სწავლის მაქსიმალური ხანგრძლივობა?(აღნიშნეთ)

1 დიახ წლების რაოდენობა ----------
2 არა

A2. როგორია დოქტორანტურის სტუდენტების სტატუსი? (შეგიძიათ აღნიშნოთ რამდენიმე პუნქტი)

1 სტუდენტი

2 მკვლევარი
3 სხვა (მიუთითეთ) ----------

A3. რა კომპონენტებისაგან შედგება დოქტორანტურა? (აღნიშნეთ შესაბამისი ციფრები, თუ ეს კომპონენტი სავალდებულოა, ჩაწერეთ + ამ კომპონენტის გასწვრივ გრაფაში "სავალდებულო)

	კომპონენტები	სავალდებულო
1	დამოუკიდებელი კვლევა	
2	სასწავლო კომპონენტი (დარგობრივი კურსები)	
3	სასწავლო კომპონენტი (ზოგადი უნარების განმავითარებელი კურსები)	
4	პედაგოგიური საქმიანობა	
5	სხვა (მიუთითეთ)	

A4. არის თუ არა დოქტორანტურაში მიღების წინაპირობა უნივერსიტეტში დაფინანსებული კვლევის არსებობა?

1 დიახ
2 არა

A5. გამოიყენება თუ არა კრედიტების სისტემა დოქტორანტის დატვირთვის გამოსათვლელად?

1 დიახ
2 არა

A6. მოქმედებს თუ არა დოქტორანტურის ხარისხის კონტროლისა და შეფასების პროცედურები?

1 დიახ
2 არა *(გადადით კითხვაზე A8)*

A7. განმარტეთ, რა პროცედურებით კონტროლდება და ფასდება დოქტორანტურის ხარისხი?

A8. როგორ ფინანსდებიან დოქტორანტურის სტუდენტები?

1 თვითდაფინანსება
2 უფასო
3 სხვა (მიუთითეთ) ----------

A9. რა პერიოდულობით წარმოებს მიღება დოქტორანტურაში?

1 წელიწადში ერთხელ
2 წელიწადში ორჯერ
3 სხვა (მიუთითეთ) ----------

A10. არსებობს თუ არა წინაპირობები ან მოთხოვნები დოქტორანტურაში მისაღებად? *(მაგალითად, სამუშაო გამოცდილება, გამოცდა სპეციალობაში და ან უცხო ენაში და ა.შ)*

1 დიახ
2 არა *(გადადით შემდეგ სექციაზე)*

A11. რა წინაპირობები ან მოთხოვნები არსებობს დოქტორანტურაში მისაღებად? (ჩამოთვალეთ და მიუთითეთ ვისზე ვრცელდება ეს მოთხოვნები)

მოთხოვნა	ვრცელდება ყველაზე	ვრცელდება ზოგიერთზე (ჩაწერეთ ვისზე)

A12. გთხოვთ, შეავსოთ შემდეგი მონაცემები დოქტორანტურაში სხვადასხვა დარგობრივ სფეროებში სტუდენტების მიღების შესახებ:

	2005-2006				2006-2007				2007-2008			
	განაცხადების რაოდენობა	მიღებული სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის გადასახადს იხდის	სწავლის საფასური	განაცხადების რაოდენობა	მიღებული სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის გადასახადს იხდის	სწავლის საფასური	განაცხადების რაოდენობა	მიღებული სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის გადასახადს იხდის	სწავლის საფასური
განათლება												
ჰუმანიტარული მეცნიერებანი												
სოციალური მეცნიერებანი												
ბიზნესი												
სამართალ-მცოდნეობა												
ხელოვნება												
ინჟინერია, მშენებლობა და მრეწველობა												
საბუნების-მეტყველო მეცნიერებები												
მათემატიკა, კომპიუტერული												
ტექნოლოგიები												
სოფლის მეურნეობა და ვეტერინარია												
ჯანდაცვა და სოციალური												

უზრუნველყოფა

* შენიშვნა: სწავლის საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად, ასათვისებელი კრედიტების შესაბამისად.

სექცია B – მაგისტრატურა

B1. არსებობს თუ არა წინაპირობები ან მოთხოვნები მაგისტრატურაში მისაღებად? (მაგალითად, სამუშაო გამოცდილება, გამოცდა სპეციალობაში და/ან უცხო ენაში და ა.შ)

1 დიახ
2 არა *(გადადით კითხვაზე B3)*

B2. რა წინაპირობები ან მოთხოვნები არსებობს სტუდენტებისათვისმაგისტრატურაში მისაღებად? (აღნიშნეთ და მიუთითეთ ვისზე ვრცელდება, მაგალითად სხვა დარგის სტუდენტებზე, სხვა უნივერსიტეტიდან გადმოსულ

სტუდენტებზე და სხვ.)

მოთხოვნა	ვრცელდება ყველაზე	ვრცელდება ზოგიერთზე (ჩაწერეთ ვისზე)

B3. როგორ ფინანსდებიან მაგისტრატურის სტუდენტები?

1 თვითდაფინანსება
2 უფასო
3 სხვა (მიუთითეთ) ----------

B4. მაგისტრატურაზე 2007-2008 წელს მიღებული სტუდენტების რაოდენობა ---------- მათ შორის 2006-2007 წელს დამთავრებულები (%) ----------

B5. გთხოვთ, შეავსოთ შემდეგი მონაცემები მაგისტრატურაში სხვადასხვა დარგობრივ სფეროებში სტუდენტების მიღების შესახებ:

	2005-2006				2006-2007				2007-2008			
	განცხადების რაოდენობა	მიღებული სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის გადასახადს იხდის	სწავლის საფასური	განცხადების რაოდენობა	მიღებული სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის გადასახადს იხდის	სწავლის საფასური	განცხადების რაოდენობა	მიღებული სტუდენტების რაოდენობა	მათ შორის გადასახადს იხდის	სწავლის საფასური
განათლება												
ჰუმანიტარული მეცნიერებანი												
სოციალური მეცნიერებანი												
ბიზნესი												
სამართალ-მცოდნეობა												
ხელოვნება												
ინჟინერია, მშენებლობა და მრეწველობა												
საბუნების-მეტყველო მეცნიერებები												
მათემატიკა, კომპიუტერული												
ტექნოლოგიები												
სოფლის მეურნეობა და ვეტერინარია												
ჯანდაცვა და სოციალური												

უზრუნველყოფა

სექცია C – სტუდენტთა დასაქმება და დამსაქმებელთან ურთიერთობა

C1. აწარმოებს თუ არა თქვენი სასწავლებელი სტუდენტთა და კურსდამთავრებულების დასაქმების აღრიცხვას?

1 დიახ
2 არა
3 ნაწილობრივ

C 2. დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კურსდამთავრებულებების დასაქმების მაჩვენებლები (რაოდენობა) საფეხურების მიხედვით

ბაკალავრები ----------

მაგისტრები ----------

დოქტორები ----------

C 3. აწარმოებთ თუ არა დიალოგს დამსაქმებელთან შემდეგ საკითხებზე? (აღნიშნეთ შესაბამისი პუნქტი ან პუნქტები)

1 სასწავლო კურსის, პროგრამის შედგენა
2 ხარისხის უზრუნველყოფა
3 სტუდენტების დასაქმება
4 უმაღლესი სასწავლებლის მართვა
5 სხვა (მიუთითეთ) ----------

C 4. ატარებთ თუ არა ღონისძიებებს სტუდენტთა (განსაკუთრებით ბაკალავრების) დასაქმების ხელშეწყობისათვის?

1 დიახ (ჩამოთვალეთ) ----------

---
2 არა

სექცია D – ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

D.1 გაქვთ თუ არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური?

1 დიახ (მიუთითეთ შექმნის თარიღი)

2 არა (მიუთითეთ რომელი უწყება ასრულებს ამ ფუნქციას)

D.2 რამდენი ადამიანი მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში? ----------

D.3 აქვს თუ არა დებულება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს?

1 დიახ
2 არა

D.4 ჩამოთვალეთ ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა

წესები, დებულებები, ინსტრუქციები	ხარისხის შეფასების ანგარიშები

D.5 ჩამოთვალეთ ძირითადი მეთოდები, რომლებსაც იყენებს სამსახური კვლევისა და სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად?----------
---

D.6 შემუშავებული აქვს თუ არა თქვენს უნივერსიტეტს ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი სტრატეგიის გეგმა?

1 დიახ
2 *არა (გადადით კითხვაზე D.8)*

D.7 გამოქვეყნებულია თუ არა სტრატეგია უსდ-ს ვებ გვერდზე?

1 დიახ
2 არა

D.8 ატარებთ თუ არა რაიმე სახის ღონისძიებებს სწავლის შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით?

1 დიახ (მიუთითეთ)

2 არა

D.9 ატარებთ თუ არა რაიმე სახის ღონისძიებებს სტუდენტების დატვირთვის შეფასებისა და შემოწმების სისტემის გაუმჯობესების მიზნით?

1 დიახ (მიუთითეთ)

2 არა

D.10 უწევთ თუ არა რაიმე სახის დახმარებას აკადემიურ პერსონალსა და სხვა დაინტერესებულ პირებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის დანერგვაში?

1 დიახ (მიუთითეთ)

2 არა

D.11 გაქვთ თუ არა სწავლისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართული წახალისების სქემები?

1 დიახ
2 არა (გადადით სექციაზე E)

D.12 მიუთითეთ წახალისების სქემები და მათი მოქმედების შედეგები

წახალისების სქემა	**შედეგი (თუ არის სახეზე)**

სექცია E – საგანმანათლებლო პროგრამები

E.1 მოქმედებს თუ არა პროგრამის შედგენის ერთიანი ფორმა?

1 დიახ
2 არა (გადადით კითხვაზე E.3)

E.2 არის თუ არა ამ ფორმაში სწავლის შედეგების (კომპეტენციების) სექცია?

1 დიახ
2 არა

E.3 მოქმედებს თუ არა პროგრამის დამტკიცების ოფიციალური წესი?

1 დიახ
2 არა

E.4 განთავსებულია თუ არა პროგრამები ვებ გვერდზე?

1 დიახ
2 არა

E.5 ტარდება თუ არა ღონისძიებები სწავლების მოქნილი გზების ჩამოყალიბების მიზანით?

	დიახ	არა
არჩევითი საგნები	1	2
არჩევითი მოდულები	1	2
სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა	1	2
სხვა (მიუთითეთ)		

სექცია F - ერთობლივი პროგრამები და ხარისხები

F .1 არის თუ არა თქვენს უმაღლეს სასწავლებელში ერთობლივი ხარისხები ?

1 დიახ (მიუთითეთ რაოდენობა)
2 არა

F .2 არის თუ არა თქვენს უმაღლეს სასწავლებელში ერთობლივი პროგრამები ?

1 დიახ (მიუთითეთ რაოდენობა)
2 არა

შენიშვნა: თუ არ გაქვთ არც ერთობლივი ხარისხები და არც ერთობლივი პროგრამები, გადადით კითხვაზე F.5.

F .3 გთხოვთ შეაფასოთ 5 ბალინი სკალის მიხედვით ერთობლივი ხარისხების/ პროგრამების სფეროში თანამშრომლობა სხვა ქართულ თუ უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან (1არ ვთანამშრომლობთ - 5 ძალიან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ)

ბაკალავრიატი

1 2 3 4 5

მაგისტრატურა

1 2 3 4 5

დოქტორანტურა

1 2 3 4 5

F.4 რომელ დისციპლინებში ხორციელდება თანამშრომლობა ერთობლივი ხარისხებისა და პროგრამების თვალსაზრისით?

F.5 რა ღონისძიებები ტარდება ერთობლივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით? რა დაბრკოლებებია?

F.8 რა ღონისძიებები ტარდება ერთობლივი ხარისხების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით? რა დაბრკოლებებია?

სექცია G - მობილობა

G.1 მიუთითეთ თქვენს სასწავლებელში სტუდენთა მობილობის მაჩვენებლები (2007-2008 და 2008 -2009 სასწავლო წლები) (**იგულისხმება** სასწავლო ან სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის მიზნით განხორციელებული მობილობა; **არ იგულისხმება** სამეცნიერო კონფერენციებსა და ტრეინინგ-პროგრამებში მონაწილეობა)

	რაოდენობა 2007-2008	რაოდენობა 2008-2009
უმაღლესი სასწავლებლის შიგნით (მაგ.ფაკულტეტებს შორის)		
საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებებიდან გადმოსული სტუდენტები		
საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებებში გადასული სტუდენტები		
უცხოური უმაღლეს სასწავლებლებიდან გადმოსული სტუდენტები		
უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში გადასული სტუდენტები		

G.2 გქონდათ თუ არა გამოცხადებული ვაკანსიები 2007-2009 წლისათვის?

1 დიახ
2 არა *(გადადით კითხვაზე G4) დასაფორმატებელია*

G.3 დაალაგეთ დისციპლინები, რომლებზეც გაქვთ ვაკანსიები მოთხოვნადობის მიხედვით (ვაკანსიებზე განაცხადების რაოდენობა შეფარდებული ვაკანსიების რაოდენობასთან)

დისციპლინები, რომლებზეც იყო ან არის ვაკანსიები	განაცხადების ფარდობა ვაკანსიების რაოდენობასთან

G.4 მიუთითეთ თქვენს სასწავლებელში აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებლები *(**იგულისხმება** სამეცნიერო- კვლევითი ან პედაგოგიური საქმიანობის მიზნით განხორციელებული მობილობა; **არ იგულისხმება** სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების მიზნით ტრეინინგ-პროგრამებში მონაწილეობა)*

	რაოდენობა 2007-2008	რაოდენობა 2008-2009
უცხოური უმაღლეს სასწავლებლებიდან მოწვეული		
უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში მიწვეული		

G.5 მიღებულია თუ არა რაიმე ზომები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გარე მობილობის (უცხოეთში) ხელშეწობის მიზნით?

1 დიახ (მიუთითეთ)

2 არა

G6 მოქმედებს თუ არა თქვენს სასწავლებელში შემდეგი მექანიზმები (აღნიშნეთ შესაბამისი ციფრი)

	დიახ	არა
ფინანსური დახმარება ადგილობრივი და უცხო ქვეყნის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის	1	2
საზღვარგარეთ გატარებული სასწავლო პერიოდის აღიარება	1	2
საცხოვრებელი ფართების გამოყოფა მობილური სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის	1	2

შენიშნვნა: თუ თქვენს უმაღლეს სასწავლებელში არ არის გარე მობილობა, გადადით ბლოკზე H

G7 მიუთითეთ საზღვარგარეთ სწავლის მიზნით გამგზავრებულთა სწავლის დაფინანსების წყაროები

G8 ჩამოთვალეთ დისციპლინები, რომელთა ფარგლებში ხდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობრაობა საზღვარგარეთ

სტუდენტები ----------

აკადემიური პერსონალი ----------

G9 მიუთითეთ (დონორი ორგანიზაციების) პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მიემგზავრება საზღვარგარეთ სწავლის ან სწავლების მიზნით.

სექცია H - დიპლომები და დანართები

H1. გასცემთ თუ არა დიპლომის დანართს სტუდენტებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს

	დიახ	არა
ბაკალავრიატი	1	2
მაგისტრატურა	1	2
დოქტორანტურა	1	2

ძველი ტიპის პროგრამები	1	2
პროფესიული პროგრამები	1	2

H2. სჭირდებათ თუ არა დანართის ოფიციალური თარგმანის წარმოდგენა იმ პირებს, რომლებმაც საზღვარგარეთ მიიღეს კვალიფიკაცია და მათი დიპლომის დანართი ფართოდ გავრცელებულ რომელიმე უცხო ენაზეა წარმოდგენილი?

1 დიახ

2 არა

H3. სჭირდებათ თუ არა დამატებითი კვალიფიკაციის შესაბამისობის დასადგენად დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა იმ პირებს, რომლებმაც საზღვარგარეთ მიიღეს კვალიფიკაცია და მათი დიპლომის დანართი ფართოდ გავრცელებულ რომელიმე უცხო ენაზეა წარმოდგენილი?

1 დიახ

2 არა

სექცია I- სტუდენტები

I1. შეაფასეთ შკალაზე სტუდენტთა ფინანსური დავალიანებების პრობლემის ინტენსივობა (შემოხაზეთ შესაბამისი ციფრი

საერთოდ არ არის ეს პრობლემა				ძალიან ფართოდ გავრცელებული პრობლემაა
1	2	3	4	5

I2. გარიცხულია თუ არა თქვენი სასწავლებლიდან სტუდენტი დავალიანების გამო ბოლო ერთი წლის განმავლობაში

1 დიახ (მიუთითეთ რაოდენობა)

2 არა

I3 გყავთ თუ არა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები?

1 დიახ (მიუთითეთ პროცენტი სტუდენტების მთლიან რაოდენობაში)

2 არა

I4 . მოქმედებს თუ არა სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის დახმარების პროგრამები?

1 დიახ

2 არა (გადადით სექციაზე J)

I5.მიუთითეთ დახმარების პროგრამა და ბენეფიციარი სტუდენტების რაოდენობა.

დახმარების პროგრამა	სტუდენტების რაოდენობა

სექცია J - კვლევა

J1. აღნიშნეთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კვლევით პროექტებზე 2006-2008 წლის განმავლობაში მოზიდული თანხების ოდენობა და წყაროები (მონიშნეთ შესაბამისი პუნქტები და აღნიშნეთ თანხა)

თანხა

1. ადგილობრივი სამეცნიერო კვლევითი ფონდები ----------

2. ადგილობრივი კერძო და სახელმწიფო დაწესებულებები (დაკვეთა) ----------

3. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ფონდები ----------

4. სხვა (მიუთითეთ) ----------

J.2. შეაფასეთ თანამშრომლობა შემდეგ უწყებებთან კვლევით პროექტებში (შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

	არსებობს ხელშეკრულება მრავალწლიანი თანამშრომლობის შესახებ	თანამშრომლობა ხორციელდება კონკრეტული მიმდინარე პროექტების ფარგლებში	თანამშრომლობა ხორციელდება ინდივიდულაური მკველევარების დონეზე	თანამშრომლობა ხორციელდება სამეცნიერო ჯგუფების დონეზე	მაგისტრანტები /დოქტორანტები ასრულებენ თავის სამეცნიერო თემებს
კვლევითი ჯგუფები და ინსტიტუციები საზღვარგარეთ					
კვლევითი ჯგუფები და ინსტიტუციები საქართველოში					
ბიზნესი					

J. 3 რა ზომებია საჭირო ხსენებულ უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის კვლევის სფეროში?

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!